www.24saati.ge
24 საათი
© გაზეთი 24 საათი
ორშაბათი 8 დეკემბერი, 2008 წელი. №274 (2018)
ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

პრესომბუდსმენი
A3



წრე


სიკეთე გადამდებია
A4

ყველაზე მასშტაბური სახელმწიფო ინვესტიციები
A7



ვინ უღალატა გაუდის?
A11



# რუსი "ნამესტნიკები" კოკოითს ქურდობაში ადანაშაულებენ

ეკა ჭანაშია

ედუარდ კოკოითმა დაკვეთილი სტატია უწოდა დე-ფაქტო უშიშროების საბჭოს ექსმდივნის ალექსანდრე ბარანკევიჩის ინტერვიუს, რომელშიც ბარანკევიჩმა მის მიმართ რამდენიმე ბრალდება გააჟღერა.

**"ამ ადამიანებისა და გაზეთ "კომერსანტის" საქმიანობის შესახებ კომენტარების გაკეთება არ მსურს. სამხრეთ ოსეთში აღდგენითი საუშაოები სრული სვლით მიმდინარეობს და დღეს ამგვარი დაკვეთილი სტატიები, რა თქმა უნდა, იქნება, რადგან ჩვენ ხალხს ქურდობის საშუალებას არ ვაძლევთ",** - განაცხადა კოკოითმა.

მისი თქმით, ხელმძღვანელობა რესპუბლიკის აღდგენისთვის გამოყოფილ ყოველ რუბლს თავად გააკონტროლებს. **"მესმის, საიდან დაიწყო ეს ყველაფერი – ჩვენ ერთ-ერთ მოიჯარეს დიდი ფულის მოპარვის საშუალება არ მივეცით",** - ირწმუნება დე-ფაქტო პრეზიდენტი.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო უშიშროების საბჭოს ექსმდივნმა ალექსანდრე ბარანკევიჩმა ორი დღის წინ, გაზეთ "კომერსანტისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ცხინვალის ხელისუფლებამ საბრძოლო მოქმედებების შემდეგ აღდგენითი სამუშაოების სათანადო ორგანიზება არ მოახდინა და რომ დე-ფაქტო რესპუბლიკაში ჰუმანიტარული ტვირთები იკარგება.

გაგრძელება A2 გვერდზე


AFP ' 2008
*კოკოითმა ცხინვალის აღდგენისთვის გამოყოფილი თანხები მიითვისა.*

## მთავრობის ყოფილ და მომავალ წევრთა „თავგადასავლები"

5 დეკემბერს აღმასრულებელ ხელისუფლებაში რამდენიმე საკადრო ცვლილება განხორციელდა. კერძოდ, თანამდებობიდან გათავისუფლდა თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი, რომლის მოვალეობას მისი მოადგილე ბათუ ქუთელია ასრულებს. საგარეო საქმეთა მინისტრად, ეკა ტყეშელაშვილის ნაცვლად, გია ვაშაძე დაინიშნა. განათლების მინისტრის პოსტიდან წავიდა გია ნოდია, რომლის ადგილი იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა ნიკა გვარამიამ დაიკავა.

გარდა ამისა, კულტურის მინისტრის პოსტი პრემიერ-მინისტრმა ზურაბ აბაშიძეს შესთავაზა, თუმცა მან აღნიშნულ წინადადებაზე უარი განაცხადა. კულტურის მინისტრის გარდა, ვაკანტურია უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტიც, რომელიც ალექსანდრე ლომაიამ დატოვა.

ეს უკანასკნელი ადასტურებს ინფორმაციას, რომ იგი საქმიანობას დიპლომატიურ სამსახურში გააგრძელებს. როგორც ლომაია აცხადებს, უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი, კონკრეტულად რომელ ქვეყანაში გააგრძელებს საქმიანობას.

**"უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობის დატოვების გადაწყვეტილება საკუთარი სურვილით მივიღე, რადგან მიმაჩნია, რომ დასრულდა გარკვეული ეტაპი და ახლა საჭიროა ახალი ენერგია და ცვლილებები,"** - განაცხადა ლომაიამ.

გაგრძელება A2 გვერდზე

## პარლამენტში მომავალი წლის ბიუჯეტი შეაჯამეს

### უნდა ველოდოთ 9-პროცენტიან ინფლაციას

თინა შავაძე

მთავრობას და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის შეუთანხმებლობა მთავარ ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის მხოლოდ ინფლაციის დონის პროცენტულ მაჩვენებელშია. ფინანსთა სამინისტრომ მომავალი წლის ბიუჯეტში ინფლაციის დონის 7-პროცენტიანი ზრდა ივარაუდა. ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელ დავით ამაღლობელის პროგნოზით კი, მომავალ წელს საქართველოში ინფლაციის დონე 9 პროცენტს მიაღწევს, რასაც საკანონმდებლო ორგანოშიც ეთანხმებიან და წარმოდგენილ დოკუმენტში ფინანსთა სამინისტროსგან პროცენტული სხვაობის გასწორებას ითხოვენ.

ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსთან დაკავშირებით ხელისუფლებაში საინტერესო შეთანხმებაა მიღწეული. მთავრობამ ბიუჯეტი 1.65 ლარით დაითვალა, მაგრამ ფულის დახარჯვა მცურავი კურსით მოხდება (მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისად) და დროებითი ხასიათის შოკის (როცა გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში, მაგალითად, 2.3 ლარი გახდება) საპასუხოდ ეროვნული ბანკი ინტერვენციებს მიმართავს.

გაგრძელება A2 გვერდზე

24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
BORJOMI ბორჯომი
GRDC group
ჯი პი აი ვიენის სადაზღვევო ჯგუფი

## ექიმების მიერ ევროინტეგრაციისკენ გადადგმული ნაბიჯი



*პროფესორი გიორგი მენაბდე და გიორგი გიორგობიანი საპატიო მანტიებით შემოსეს. დგანან მარცხნიდან მარჯვნივ პროფესორები: იან კულიგი - ევროპის ქირურგთა საზოგადოების გენერალური მდივანი; ლუკ მიშელი - საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი; გიორგი მენაბდე; გიორგი გიორგობიანი.*

"ქვეყნებს შორის გაერთიანება, უპირველეს ყოვლისა, სამეცნიერო და კულტურული კავშირების განმტკიცებით იწყება," - განუცხადა ნეაპოლში მყოფ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორ გიორგი მენაბდესა და ამავე უნივერსიტეტის ქირურგიული დეპარტამენტის პროფესორ გიორგი გიორგობიანს ევროპის ქირურგთა საზოგადოების ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ცნობილმა ქირურგმა, პროფესორმა ლუკ მიშელმა.

2009 წლის ნოემბერში, თბილისი ევროპის ქირურგთა საზოგადოების მე-13 კონფერენციას უმასპინძლებს. ამ გადაწყვეტილების დასტურად ქირურგთა საზოგადოების წევრებმა მიმდინარე წლის ნოემბერში ნეაპოლში გამართულ კონფერენციაზე მიწვეულ საქართველოს წარმომადგენლებს გარდამავალი მედალი გადასცეს, რომელიც იმ ქვეყნებს ენიჭებათ, სადაც კონგრესის ჩატარება იგეგმება. თუმცა, მედლის გადაცემამდე, ნეაპოლში სტუმრად მყოფ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორ გიორგი მენაბდეს საქართველოში სამედიცინო განათლების ასპექტებზე ლექციის წაკითხვა სთხოვეს. შემდეგი ლექცია თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორმა გიორგი გიორგობიანმაც წაიკითხა. ნეაპოლში მყოფი საქართველოს ორივე წარმომადგენელი საქართველოში დაგეგმილი მე-13 კონფერენციის პრეზიდენტებად არიან არჩეულნი. კონფერენციას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი უმასპინძლებს.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი კონფერენცია არა თუ საქართველოში, არამედ არც ერთ პოსტსაბჭოურ ქვეყანაში არ ჩატარებულა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ევროპელი ქირურგები ყოველწლიურად, ძირითადად, ევროგაერთიანების ქვეყნებში იკრიბებიან.

ქართველი ქირურგები კონფერენციაში ბოლო 10 წელია, აქტიურად მონაწილეობენ. ევროპის ქირურგთა საზოგადოების მმართველი საბჭოს წევრმა გიორგი გიორგობიანმა კონფერენციის საქართველოში ჩატარების საკითხი ევროპელ კოლეგებთან, დაახლოებით, 3 წლის წინათ დააყენა. მაშინ, გაუკვირდათ... შარშან კი გადაწყდა, რომ კონფერენცია, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნის, დაახლოებით, 500 წამყვანი მეცნიერი დაესწრება, საქართველოში ჩატარებულიყო. ევროპელების გადაწყვეტილება საქართველოში აგვისტოს თვეში მომხდარმა საომარმა მოქმედებებმა არ შეცვალა.

ამდენად, მომავალ წელს საქართველოს ესტუმრებიან ევროპის ქირურგთა საზოგადოების წევრები, ისეთი ცნობილი ქირურგები, როგორებიც არიან მიულერი გერმანიიდან, კინგსნორთი დიდი ბრიტანეთიდან, ლუკ მიშელი ბელგიდან და სხვები. კონფერენციის მისიაა ფართო საზოგადოებისთვის ქირურგიის სფეროს მიღწევების გაცნობა და განვითარება.

გარდა ამისა, ევროპელი ქირურგები აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის კავშირების გამართვასა და გაძლიერებასაც ცდილობენ. მომავალი კონფერენციის პრეზიდენტებმა სწორედ ამიტომაც შეარჩიეს სლოგანი „საქართველო- ხიდი ევროპასა და აზიას შორის"

როგორც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი მენაბდე მიიჩნევს, კონგრესის საქართველოში ჩატარების შესახებ მმართველი საბჭოს გადაწყვეტილება ნიშნავს იმას, რომ ისინი ევროპის ქვეყნად გვაღიარებენ. **"თუმცა, ევროპელებს ეს გადაწყვეტილება მარტივად არ მიუღიათ. მათ შეისწავლეს ჩვენი ინფრასტრუქტურა, მონაცემები, შესაძლებლობები და გადაწყვიტეს, რომ ჩვენ ამის საშუალება გვაქვს და ამ მასშტაბის კონგრესის ჩასატარებლად ინტელექტუალური რესურსიც გაგვაჩნია,"** - აღნიშნა გიორგი მენაბდემ.

2009 წლის კონფერენციის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში სტუმრობისას შეიტყო. მაშინ აღინიშნა, რომ ეს კონფერენცია უზარმაზარი ფანჯარაა არა მხოლოდ ქირურგებისთვის, არამედ ახალგაზრდა მეცნიერებისთვისაც. გარდა ამისა, უდავო და მნიშვნელოვანია ის, რომ აღნიშნული ფაქტი ევროპის მხრიდან საქართველოს მის შემადგენელ ნაწილად აღიარებას ნიშნავს.

# რუსი "ნამესტნიკები" კოკოითს ქურდობაში ადანაშაულებენ

პირველი გვერდიდან

როგორც თავად ბარანკევიჩმა აღნიშნა, მან კოკოითის წინააღმდეგ კომპრომატების ნაწილი გამოაქვეყნა. დე-ფაქტო უშიშროების საბჭოს ექსმდივანს არც ე.წ. სამხრეთ ოსეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი იური მოროზი ჩამორჩა.

ბარანკევიჩმა გაზეთ “კომერსანტისთვის” მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ კოკოითმა საკუთარი სამშობლო მიატოვა და 8 აგვისტოს, დაცვასთან ერთად, ჯავაში გაიქცა. იქაც თავი მხოლოდ იმით გამოიჩინა, რომ ქართველ ხელებშეკრულ ტყვეს სცემა. მეორე კი ის, რომ რეგიონისთვის რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან ადრე გამოყოფილი დახმარება ერთხელ უკვე მიითვისა და ახლაც იმავეს ცდილობს. მოროზმა კი "კომერსანტს" განუცხადა, რომ ომის შემდეგ ცხინვალში დიდი ტრანშები გადაირიცხა, რომლებიც ახლა უკვე გამქრალია. **“როდესაც ომი დაიწყო, სამხრეთ ოსეთის ნაციონალურ ბანკში ამ ტრანშიდან 100 მილიონი რუსული რუბლი იყო დარჩენილი. ეს ფული გაქრა,"** - განაცხადა მოროზმა. ყოფილ თანაგუნდელებს ოპერატიულად გამოეხმაურა ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი. ოსი სეპარატისტების ლიდერის მტკიცებით, გარკვეული ძალები რუსეთის თვალში რესპუბლიკის დისკრედიტაციას ცდილობენ.

**"დღეს, გარკვეული პროქართული ძალები რუსეთის წინაშე სამხრეთ ოსეთის იმიჯის შელახვას ცდილობენ. ამ ძალებს რესპუბლიკაში აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობა არ მოსწონთ,"** - განუცხადა "ინტერფაქსს" კოკოითმა.

ამ განცხადების შემდეგ კოკოითმა ე.წ სამხრეთ ოსეთში ფინანსთა მინისტრად უშუალოდ კრემლის მიერ დანიშნული პანტელეევი, რომელთანაც წინა დღეს სწორედ რუსეთის ფედერალური თანხების კონტროლის გამო დაპირისპირება მოუვიდა, თანამდებობიდან გაათავისუფლა. პანტელეევი ე.წ. სამხრეთ ოსეთში მინისტრად გადაბარგებამდე, რუსეთის ფედერაციის ულიანოვსკის ოლქის ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე მუშაობდა.

სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებაში ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე პანტელეევმა მხოლოდ ერთი კვირა იმუშავა. მის ადგილზე კოკოითმა ჩრდილოეთ ოსეთის ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დანახარჯების განყოფილების ხელმძღვანელი ინალ პუხაევი დანიშნა. იმავე საღამოს ალექსანდრე პანტელეევმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორია დატოვა.

გაზეთ “კომერსანტისთვის” მიცემულ ინტერვიუში ბარანკევიჩმა კოკოითის მიერ ფედერალური ბიუჯეტის თანხების გათეთრებისა და ჩაჯიბვის სქემა გაშიფრა. მისი თქმით, ცხინვალის რეგიონში მუშაობენ სამშენებლო კომპანიები, რომელთაც რუსეთის სახელმწიფოსთან ნარდობის ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული. ეს ფირმები ცხინვალში სამშენებლო სამუშაოებს საკუთარი სახსრებით აწარმოებენ და დანახარჯები შემდგომში სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა ანაზღაურდეს.

ბარანკევიჩი აცხადებს, რომ აღნიშნული ფირმები ჰუმანიტარული სამშენებლო მასალებით აწარმოებენ მშენებლობას, ხელოვნურად ზრდიან მშენებლობის ხარჯებს, კოკოითთან შეთანხმებით ქმნიან ერთდღიან სამშენებლო ფირმებს, აფორმებენ ამ ფირმებთან ფიქტიურ ხელშეკრულებებს სხვადასხვა სამუშაობის შესრულებაზე და შემდეგ სახელმწიფოს ამ გაზრდილ თანხებს სთხოვენ.

ბარნაკევიჩი ინტერვიუში აცხადებს, რომ კოკოითმა სამხრეთ ოსეთში “1937 წელი დაამყარა” და ყველას, ვინც მას არ მოსწონს, საფრთხე ემუქრება.

ის იხსენებს, რომ აგვისტოს ომის შემდეგ ცხინვალში ჰუმანიტარული კატასტროფა შეიქმნა. **“დაჭრილების დასახმარებლად არ გვყოფნიდა ექიმები. ჯავაში კი ამ დროს 20 სასწრაფო დახმარების მანქანა იდგა. ჩრდილოეთ ოსეთის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ვიპოვე და ვთხოვე, ეს კოლონა დაჭრილების გამოსაყვანად ცხინვალში წაეყვანა. მიპასუხა, ვიდრე სამხრეთ ოსეთის ჯანდაცვის მინისტრი არ დამრთავს ნებას, უფლება არ მაქვს, ეს კი ორ საათში მოხდებაო. ვუთხარი - თუ გკითხავენ, უპასუხე, რომ თავზე იარაღი მოგადე და მანქანების წამოყვანა გაიძულე. ნახევარი საათი მივეცი, რომ კოლონა ცხინვალიკენ დაეძრა. ამ დროს ვხედავდი, როგორ სცემდნენ მეომრები დატყვევებულ, ხელებშეკრულ ქართველს. მივედი და ვეუბნები, რას აკეთებთ, თქვენ ხომ მთიელები ხართ, არ შეიძლება დატყვევებული კაცის ცემა. დამემორჩილნენ. ქართველს ხელები გაუხსნეს. ამ დროს გამოჩნდა პრეზიდენტი კოკოითი, ტყვესთან მიირბინა და ფეხქვეშ გაიგდო. გულმუცელი ამომიბრუნდა. მილიციელებმა თვალები დახარეს.”**

კოკოითისგან განსხვავებით, რომელიც ამტკიცებს, რომ ცხინვალში რუსულ ჯარზე ადრე შევიდა, ბარანკევიჩი აღნიშნავს, რომ კოკოითი ცხინვალში ომის შემდეგ პირველად 11 აგვისტოს, სამი საათის შემდეგ გამოჩნდა.

გენერალ-ლეიტენანტი დარწმუნებულია, რომ 20 აგვისტოს ცხინვალის მიტინგის შემდეგ, რომელზეც ის, კოკოითისგან განსხვავებით, ხალხმა ხანგრძლივი ოვაციებით დააჯილდოვა, მთავარმა სეპარატისტმა სამხრეთ ოსეთის ჩინოვნიკებს მასთან საუბარიც კი აუკრძალა. ხოლო რუსეთის რეგიონალიზაციის სამინისტროს ახალმა უფროსმა ვიქტორ ბასარგინმა ბარანკევიჩს სთხოვა, დროებით თავი შეეკავებინა ცხინვალში ჩასვლისგან, ვინაიდან ეს უსაფრთხო არ იქნებოდა.

ე.წ. უშიშროების საბჭოს ექსმდივნის თქმით, ორი-სამი თვის შემდეგ ცხინვალში სოციალური აფეთქება იქნება. სკოლები და სახლები არ თბება. შეშა მომარაგებული არ არის. ჰუმანიტარული დახმარება ადრესატამდე ვერ აღწევს. მისივე ინფორმაციით, აგვისტოს ომის შემდეგ ცხინვალში დაიკარგა 3,2 ათასი ტონა ცემენტი, რომელიც ჰუმანიტარული დახმარება იყო და რესპუბლიკას სახლების აღსადგენად გამოეყო, ასევე დაკარგულია 18 ათასი კვადრატული მეტრი მინა. **“დარწმუნებული ვარ, ამ სამშენებლო მასალებიდან სამშენებლო ფირმები ახლა სახლებს აშენებენ. მერე კი ფედერალურ ცენტრს ერთდღიანი ფირმების საშუალებით ანგარიშს წარუდგენენ - ჩვენი ხარჯით ავაშენეთ და ფული მოგვეცითო,”** - განაცხადა ცხინვალიდან გაგდებულმა გენერალმა.

აგვისტოს ომის შემდეგ თანამდებობიდან თავისი სურვილით წასულმა ცხინვალის რეჟიმის ე.წ. პრემიერმა იური მოროზმა კი დეტალები უფრო დააკონკრეტა. **“კოკოითი ყოველთვის ცდილობდა, ამგვარ საკითხებთან დაკავშირებული ბერკეტები თავის ხელში მოექცია, მაგრამ მოსკოვიდან მას ყოველთვის მიუთითებდნენ, რომ მოსკოვის მიერ დანიშნული მთავრობის თავმჯდომარე სამხრეთ ოსეთში იმიტომ არსებობდა, რომ ფინანსური გამჭვირვალობა უზრუნველეყო. ომის შემდეგ კი მდგომარეობა შეიცვალა. ყველა ფინანსური ბერკეტი ამჟამად ბატონი კოკოითის ხელშია,"** - აცხადებს მოროზი, რომელიც მიიჩნევს, რომ სამხრეთ ოსეთში ხელისუფლების უზურპაცია მოხდა.

ვიდრე რუსული მედია კოკოითის წინააღმდეგ კომპრომატებს აქვეყნებს, კოკოითი პოზიციებს იმყარებს. პრემიერ ბულაცევის გარდა, პრაქტიკულად მთელი მთავრობა ედუარდ კოკოითის კადრებითაა დაკომპლექტებული. **“კოკოითმა სამხრეთ ოსეთში ყველგან თავისი ხალხი დანიშნა, რათა უფრო ადვილად მოახერხოს ფულის გათეთრება,"** – იუწყება გაზეთი “კომერსანტი”.

# მთავრობის ყოფილ და მომავალ წევრთა „თავგადასავლები"

პირველი გვერდიდან

ერთ-ერთი ვერსიით, ლომაია გაერო-ში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის პოსტზე ირაკლი ალასანიას შეცვლის, ამავე თანამდებობაზე განიხილება ექს-საგარეო საქმეთა მინისტრ ეკა ტყეშელაშვილის კანდიდატურა. "ჯი-ეიჩ-ენის" წყაროს ცნობით, შესაძლოა, კახა ლომაია შეერთებულ შტატებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დაინიშნოს.

რუსეთში საქართველოს ყოფილი ელჩი და პოლიტიკური ექსპერტი ზურაბ აბაშიძე კი, რომელმაც კულტურის მინისტრობაზე უარი განაცხადა, საკუთარ თავს საგარეო პოლიტიკაში ხედავს.

**"საქართველოს პრემიერ-მინისტრ გრიგოლ მგალობლიშვილთან მქონდა შეხვედრა და მე მას ავუხსენი, რომ უკეთესი იქნება, თუ ჩემს განათლებას და გამოცდილებას საგარეო უწყებაში გამოვიყენებთ-მეთქი. იგი ჩემს გადაწყვეტილებას გაგებით მოეკიდა,"** - განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

დაუბრუნდება თუ არა რუსეთში საქართველოს ყოფილი ელჩი საგარეო პოლიტიკას, რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

რაც შეეხება განათლებისა და მეცნიერების აწ უკვე ყოფილ მინისტრ გია ნოდიას, იგი პოლიტიკაში დაბრუნებას აღარ აპირებს და აკადემიურ-კვლევით სფეროში გარკვეული პროექტების განხორციელებას გეგმავს.

**“ბურჯანაძის, ნოღაიდელის და ალასანიას გზას არ ავირჩევ. პოლიტიკაში და, მათ შორის, ოპოზიციაში წასვლას გამოვრიცხავ. ამჟამად ჩვეულებრივი ცხოვრებით ვცხოვრობ, მაქვს გარკვეული საქმიანი შეხვედრებიც,"** - აცხადებს გია ნოდია.

თანამდებობიდან გათავისუფლებული საქართველოს თავდაცვის უკვე ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი კი პოლიტიკურ დუმილს ინარჩუნებს და სამომავლო გეგმებზე საუბარს თავს არიდებს.

**"დავრჩები თუ არა მიხეილ სააკაშვილის გუნდში და პოლიტიკაში? ამ კითხვაზე, თუ შეიძლება, არ გიპასუხებთ,"** - აცხადებს კეზერაშვილი.

სამთავრობო ცვლილებებების დროს საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილმაც გაიჟღერა, რომელსაც გრიგოლ ვაშაძის კონსულტანტობა შესთავაზეს. მენაღარიშვილი აცხადებს, რომ საგარეო პოლიტიკურ უწყებას ოფიციალური თანამდებობით არ დაუბრუნდება, თუმცა ვაშაძესთან თანამშრომლობას არ გამორიცხავს.

**"გრიგოლ ვაშაძისგან შემოთავაზება მივიღე, თუმცა ოფიციალური თანამდებობის მიღებაზე უარს ვაცხადებ. ვფიქრობ, საინტერესო რჩევების მიცემა მინისტრისთვის თანამდებობის დაკავების გარეშეც შემიძლია. ჩვენ ამის საკმაოდ დიდი გამოცდილება გვაქვს,"** - აღნიშნავს მენაღარიშვილი.

მედიასაშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დავით კეზერაშვილმა აგვისტოს მოვლენების შემდეგ თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ განცხადება სამჯერ დაწერა. სააგენტო “პირველის” ცნობით, საუბარია იმაზეც, რომ მას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 120 მილიონი დოლარის გადახდას აიძულებენ.

მთავრობაში განხორციელებულ ცვლილებებს გუშინ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი გამოეხმაურა. **“ჩვენ მხარს ვუჭერთ ქართველ ხალხს, რაც შეეხება იმას, თუ ვინ დაინიშნება ამა თუ იმ მინისტრად, ეს საქართველოს მთავრობის გადასაწყვეტია,”** - აცხადებს ჯონ ტეფტი.

*საკუთარი ინფორმაცია*

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი),
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

პრესომბუდსმენი

ნოდარ ლადარია



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ
ტელ.: *24 24
ან ელ-ფოსტით:
nladaria@24hours.ge

დავიწყოთ ერთი ციტატით **გიგა ზედანიას** სტატიიდან *მცირე ძლევამოსილი ომი* (2 დეკემბერი): "**თუ ყველაზე ცუდი პროგნოზი ახდა და ომი რუსეთთან განახლდა, ეს ომი დასავლურ მედიებში წარმოდგენილ უნდა იქნეს როგორც კონფლიქტი ნამდვილ ავტოკრატიასა და ნამდვილ დემოკრატიას შორის**". ახლა ნუ შევჩერდებით იმაზე, თუ რას ნიშნავს "**წარმოდგენილ უნდა იქნეს**" — ბოლოს და ბოლოს, ეს ჩვენზე არაა დამოკიდებული: როგორადაც წარმოადგენენ, ისეთი იქნება. აქ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია სხვა იდეა, რომლის გასარკვევად ნამდვილად ღირს დაფიქრება...

მარტივად რომ ვთქვათ, სტატიის ავტორი გვეუბნება, რომ საქმე ამგვარადაა: დასავლეთის პოზიცია რომელიმე კონფლიქტის მიმართ პირდაპირ არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვის შორისაა კონფლიქტი. სხვა სიტყვებით, დასავლეთი არ შეუშლის ხელს რუსეთს, თუ მის "ავტოკრატულობაში" არ იქნებდა დარწმუნებული და არ დაეხმარება საქართველოს, თუ მის "დემოკრატიულობაში" ეჭვს შეიტანს.

იდეის ამგვარი განმარტება ბევრს არაფერს იძლევა. რატომ? — იმიტომ რომ ხშირად იდეები თავისთავად კი არ ნიშნავს რამეს, არამედ გარკვეულ კონტექსტში. ამის დანახვაში დაგვეხმარება ერთი დამატებითი კითხვა: რაო, დასავლეთი ჯერაც ვერ ხედავს, რომ რუსეთი "ნამდვილი" ავტოკრატიაა? საინტერესო კიდევ ეს არის: რას ნიშნავს "ნამდვილი დემოკრატია"?

ახლა ვნახოთ, რას ფიქრობს იმავე საკითხზე **ეკა კვესიტაძე** (*ფასადური ცვლილებები ვერ დაიცავს ქვეყანას* — 1 დეკემბერი). ამ სტატიაში თავიდანვე ისმის კითხვა: "**რა ან ვინ უზრუნველყოფს ჩვენს უსაფრთხოებას აგვისტოს ომის შემდეგ?**". პასუხი დაუყოვნებლივ მოსდევს: "**არც არავინ**". ავტორს სამართლიანად მიაჩნია, რომ ეუთო და გაერო სათვალავში არ უნდა ჩავაგდოთ, ევროკავშირი დანაწევრებული და სუსტია, აშშ-ს ზრახვები კი, ადმინისტრაციის ცვლილების გამო, ჯერ-ჯერობით გაურკვეველია.

ვითარების ამგვარ აღწერასთან კამათი ძნელი საქმეა, რადგან სამივე დასკვნას ზურგს უმაგრებს პოლიტიკური რეალობიდან მიღებული გამოცდილება.

კიდევ უფრო შორს მიდის **ლაშა ბუღაძე** 5 დეკემბრის სტატიაში *ქუიშტ!*. მართალია, მას შორს წასვლა მაინცდამაინც ძვირად არ ულირს, მაგრამ აზრი აზრად რჩება და ძნელია არ დაეთანხმო. მით უმეტეს, რომ აქაც რეალური გამოცდილებიდან აღებული არგუმენტი გვარწმუნებს: ალბანეთის ნატოში შესვლა. ჩანახატში ვკითხულობთ: "**გადამწყვეტი ფაქტორი ქვეყნის დემოკრატიულობა კი არ ყოფილა (რადგან, ამ მხრივ, ალბანეთს ჩვენზე ნაკლები პრობლემები როდი აქვს), არამედ ის, თუ ვინ ცხოვრობს შენს მეზობლად... ყველაზე მეტად სწორედ ამან დამწყვიტა გული... რადგან ვიეჭვე, რომ ეს "ქუიშტ" (თუ "ხვიშტ") არა პრინციპებმა, არამედ შიშმა ათქმევინა ნატოს უფროსს!**".

ესეც ასე, ბატონებო. და თუ ნეოლოგიზმის შემოტანა მეპატიება, ვიტყვი, რომ ლაშა ბუღაძემ ყველაფერი "ორყბად" თქვა და დაწერა. რაც შეეხება დემოკრატიას, ის ალბათ არასოდეს არ არის "ნამდვილი", იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დემოკრატია მმართველობის, სოციალური მოწყობის წესია და იმითაც განისაზღვრება, თუ როგორ, რა ხერხით და რამდენად სწრაფად რეაგირებს ესა თუ ის სახელმწიფო სისტემა ან საზოგადოება გარემო პირობების ცვალებადობაზე. ამასთან ერთად დემოკრატიის ხარისხიც იცვლება, მერყეობს და ეს ნორმალურია.

საბოლოოდ, შეიძლება გაკეთდეს კარგი გამოკვლევა ან, თუ გნებავთ, მიმოხილვა: როგორაა დამოკიდებული ქვეყანაში არსებული დემოკრატიის ხარისხი და პოლიტიკური თუ ეკონომიკური სტაბილურობა იმაზე, თუ რა პოზიციას იკავებს ეს ქვეყანა ნატოს აღმოსავლეთისკენ გაფართოების მიმართ. თავდაპირველი ჰიპოთეზა ასეთია: რაც უფრო მაღალია ქვეყანაში რეფორმების ტემპი, რაც უფრო დუღს სიცოცხლე და რაც უფრო ახლოსაა საზოგადოება შეგნებულ არჩევანთან, მით უფრო მხარს უჭერს ის საქართველოსა და უკრაინის გაწევრიანებას ნატოში.

ძველ ევროპას კი რაც გინდა "ნამდვილ" დემოკრატიად წარუდგინე საკუთარი თავი, მაინც არ მოიშლის ქვესკნელის ძალებთან უგვანო კეკლუცობას, ერთი რუსული ანდაზიდან გამოსული იმ ღორისა არ იყოს, ტალახს რომ ყველგან იპოვის, თუკი მოუნდა. სამწუხაროდ, ეს უკვე მის არსებით თვისებად იქცა, რაზედაც ლაშა ბუღაძე ასე მიგვანიშნებს: "**ალბანეთის ამბავი რომ არა, ოდნავადაც არ შევიტანდი ეჭვს ევროპელების ობიექტურობაში... ვიტყოდი: დიახ, მართლები არიან, ჩვენთან დემოკრატია დაინვალიდებულია, ხალხი სადარბაზოებში ფსამს, რა ნატოს დონისა ჩვენა ვართ!**".

ოჰ, ეს ადგილი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება გვეგონოს. ერთი წუთით ჩამოვაშოროთ ციტატას პირველი ნაწილი და წარმოვიდგინოთ, თითქოს ავტორი ჩივის და გვამხელს: "**ჩვენთან დემოკრატია დაინვალიდებულია, ხალხი სადარბაზოებში ფსამს, რა ნატოს დონისა ჩვენა ვართ!**". ჩვენ წინაშეა სტანდარტული ქართული "ოპოზიციონერობა": რა ნატოს დონისა ვართ, თუ მიშა ჰალსტუხებს ჭამს, ჩემი ბიძაშვილი ციხეში ჩასვეს, მრიცხველები კი გარეთ გაიტანეს... არა, სადარბაზოების დანაგვიანება მართლაც ცუდი რამაა და მისი შედარება არ შეიძლება ჩემ მიერ მოყვანილ მაგალითებთან, აქ ცოტა გადავაჭარბე, მაგრამ განგებ გადავაჭარბე, სათქმელი რომ უფრო მკაფიო ყოფილიყო. რეალურად ხდება შემდეგი: შექმნილი პოლიტიკური ვითარება მიგვანიშნებს, რომ დეტალებში გაჭედვას ყავლი გაუვიდა, რომ 2 დეკემბრის მინისტერიალის შემდეგ აზრი აღარა აქვს ევროპის დიპლომატიურ კორპუსთან არც ჩივილსა და არც ქადილს, რადგან ეს შედეგზე არანაირ გავლენას არ მოახდენს.

თუ სხვა გზა არ ექნებათ, ესენი **შალვა ნათელაშვილსაც** დაიმოწმებენ საკუთარი უუნარობის გასამართლებლად. არა, წვრილმანი დეტალების დრო ახლა ნამდვილად არ არის.

დეტალების მნიშვნელობაზე სხვანაირად ფიქრობს **დათო ტურაშვილი** და ხუთშაბათის რუბრიკაში ერთ უკვე გაჭაღარავებულ თემას ეჭიდება: ინგლისის პრემიერ-მინისტრი სტუმრებს კარს თავისი ხელით უღებს დაუნინგ-სტრიტზე, ჩვენ კი მანამდე ვერ გავხდებით ევროპული ქვეყანა, სანამ ბარნოვის ქუჩას ყოველ ჯერზე გადაკეტავენ, როცა კი **მიხეილ სააკაშვილს** სუშის ჭამა მოუნდება. მართალია, ინგლისის პრემიერ-მინისტრს არც ლიდსსა და მანჩესტერს შორის გზაზე გამართული უკანონო ბლოკ-პოსტიდან ესვრიან, მაგრამ ახლა ეს არ არის მთავარი...

რესტორნის თემა აღორძინდა! მახსოვს, ოდესღაც **ნინია კაკაბაძე** წერდა იმავეს, ოღონდ სხვა რესტორანზე. დათო ტურაშვილი დაჟინებით განმარტავს, რომ "**სწორედ ეს არის მთავარი მენტალური პრობლემა, რომელიც განსაზღვრავს კიდეც ჩვენს რაობას**". შეგახსენებთ, დათო ტურაშვილის ტექსტში, ჩვენს რაობას, ანუ ეროვნულ იდენტობას განსაზღვრავს პრეზიდენტის ვახშმობის დროს ქუჩის გადაკეტვა.

შემასმენლის ცვლილებით დავიწყოთ: "განსაზღვრავს" არ ვარგა, უფრო მართალი იქნება, თუ ვიტყვით: "გამოხატავს". ახლა კი შინაარსზე მსჯელობაც შეიძლება. საინტერესოა, რა უფრო გამოხატავს ჩვენს რაობას, პრეზიდენტის ესოდენ დამთრგუნველი ვახშმობები, თუ, მაგალითად, ბარნოვის პარალელურ ფალიაშვილის ქუჩაზე, სადაც ცალმხრივი მოძრაობაა, ახალთახალი ავტომობილებით "პროწივზე" გამოსული გოგონები? უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ გოგონებს მოძრაობის საწინააღმდეგო მხარეს იქვე მოვახშმე პრეზიდენტის ესკორტი გამოყრის ხოლმე...

მაგრამ კამათის ასეთი დონე ნამდვილად არ შეგვეფერება. ჩვენ სხვას უნდა მივაქციოთ ყურადღება.

დათო ტურაშვილი მოგვიწოდებს, რომ დეტალებში ჩასაფრებულ ეშმაკს უნდა ვებრძოლოთ და მასზე გამარჯვება გადაგვარჩენს. კეთილი და პატიოსანი. მეც სწორედ ამას გავაკეთებ.

ოდნავ ზემოთ ავტორი გვიხსნის, რომ უცხიმო დიეტის მოთხოვნამ იაპონური სამზარეულოსკენ გაახედა (უნდა ვივარაუდოთ, რომ მჭლე მოხარშულ ხორცსა და მოხარშულ კარტოფილში ცხიმის დონე დაუშვებლად მაღალია, აუცილებლად სუში უნდა ვჭამოთ). რაოდენი ტკივილითა და განცდით მოგვითხრობს ავტორი: "**თბილისური სუში არასოდეს შემიყვარდება ნამდვილ ხინკალზე მეტად**". ოდნავ ქვემოთ კი განმარტავს: "**რასაკვირველია, კარგი მეოჯახე იაპონელი ქალის მოძებნა არც მიცდია, რადგან სუშის გამო ოჯახს ვერ დავანგრევ**". აი, ეს ორი ადგილი დავსახოთ დეტალებში ჩასაფრებული ეშმაკის გამოსავლენად.

რა თქმა უნდა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს მხატვრული ტექსტისათვის დამახასიათებელ გავრცობილ რიტორიკასთან, რაც მთავარ სათქმელს კი არ გვაწვდის, არამედ აზრის გადმოცემას ამკობს და სახალისო ელფერს აძლევს. მაგრამ სწორედ ამას გვიმტკიცებენ იტალიელი **ჯოვანი მორელი**, ინგლისელი **არტურ კონან დოილი** და ავსტრიელი **ზიგმუნდ ფროიდი**, ამასვე მოითხოვდა ჩვენგან ოდნავ ზემოთ ქართველი დავით ტურაშვილი: მთავარი სათქმელის გადმოცემისას ავტორი ყოველთვის ზოგად ესთეტიკურ მოთხოვნებს, ასე ვთქვათ, დღის ბოროტებას ეხმიანება, მაშინ, როცა უმნიშვნელო, მარგინალური დეტალები შემოქმედის ინდივიდუალობაზე მიგვანიშნებენ.

როგორი ინდივიდუალობა იშლება ჩვენ თვალწინ?

შეუძლებელია გერქვას პატრიოტი, თუ სუში ან სპაგეტი ხინკალსა და საცივზე მეტად გიყვარს. მაშინ ვერ იქნები ნამდვილი ქართველი. ამისთვის, სულ მცირე, გონებიდან და (ალბათ წიგნებიდანაც) უნდა ამოძირკვო იმის სახსენებელი, რომ პირველი მონღოლებმა გვაჩუქეს, მეორე კი ინდოეთიდან მოვიდა.

ნამდვილი ქართველი ვერც მაშინ გახდები, თუ ქალს ცხოვრებაში მეოჯახეობის გარდა კიდევ სხვა რამ ფუნქცია შესძინე.

ქართველი მწერალი კი ალბათ ოდენ მას ეთქმის, ვინც ჯერ მორცხვი ჩურჩულით აღიარებს: "წუხელ მთელი საღამო ბიორკს ვუსმენდი", მერე კი დამფრთხალი მიმოიხედავს და ომახიანად დასძენს: "მაგრამ ხვალ ხევსურეთში მივდივარ! რა ჯობია ჟიპიტაურის მადლიან გემოს, მას ვერც ჭიქაში ჩაყოლილი ბეწინა ძიას წვინტლები გააფუჭებს!".

ერთი სიტყვით, დეტალებთან ბრძოლა ბუმერანგით ნადირობას ჰგავს. ხომ გახსოვთ, ავსტრალიური ტლანქი ხუმრობა: მამაჩემს ახალი ბუმერანგის ყიდვა უნდა, მაგრამ მეორე დღეა, რაც ძველი ვერ გადააუგდიაო. ასეა, ბატონო, არსებითს მივაქციოთ ყურადღება, ზუსტად დავსახოთ გარე რეალობაში საჭირო პრიორიტეტები და ნუ შეგვეშინდება, თუ მათი ხშირ-ხშირი ცვლა მოგვიწევს. გარემომცველ სინამდვილეში უცვლელი და გაყინული ორიენტირები ისევ **ნინო ბურჯანაძის** ინტელექტუალურ სიმაღლეს მივანდოთ. მისი კრიტიკული პოზიცია ხომ ასე გამოითქმის: ამდენი ხნის განმავლობაში ყური გამოგვიჭედეთ მაპ-ით, ახლა კი თურმე ცუდი ყოფილა!

კრიტიკის დაბალი დონე ხელისუფლების თავნებობაზე უფრო მეტად განაპირობებს დემოკრატიის ნაკლოვანებებს. მით უმეტეს, როცა ვითარება სრულიად განსხვავებულია: ხელისუფლება ცდილობს რაციონალური ახსნა მოუძებნოს ცვალებად სინამდვილეს, კრიტიკა კი ამ სინამდვილის უკვე განვლილ ეტაპებს ებღაუჭება.

C'est la vie! — ერთ მშვენიერ დღეს მაპ-ი კი არა, თვით ნატო შეიძლება იქცეს "ხვიშტად". მთავარია დროზე ავუღოთ ალღო და არ დაგვავიწყდეს, რომ უცვლელი პრიორიტეტები თუმც კი უნდა არსებობდეს, მათ არავითარი უშუალო კავშირი არა აქვთ არც ნატო-სთან, არც გაერო-სთან, არც ხინკალთან და არც უშნო სუბლიმირებულ დედაკაცებთან.

## პარლამენტში მომავალი წლის ბიუჯეტი შეაჯამეს

პირველი გვერდიდან

ეს იმას ნიშნავს, რომ ის მცურავი კურსის სტაბილიზაციის მიზნით რეზერვებიდან ვალუტას გაყიდის. აღნიშნული მექანიზმი დეპუტატებმა მოიწონეს.

გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ზურაბ მელიქიშვილმა სხდომაზე განაცხადა, რომ პარლამენტი კანონპროექტის - "2009 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" - თაობაზე დადებით დასკვნას დაწერს და 12 დეკემბრამდე მთავრობას გადაუგზავნის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დათქმულ ვადებში ანუ მიმდინარე წლის 25 დეკემბრამდე მომავალი წლის ბიუჯეტი დამტკიცდება.

ფინანსთა მინისტრმა ნიკა გილაურმა სხდომაზე მრავალჯერ შეცვლილი კანონპროექტის შემაჯამებელი ვარიანტი წარადგინა. მისი განცხადებით, მომავალი წლის ბიუჯეტის საფინანსო რესურსი 6 მილიარდ 271 მილიონ 600 ათასი ლარით განისაზღვრა. მომავალი წლიდან მოქმედი საგადასახადო რეჟიმი შეიცვლება. საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 25 პროცენტიდან 20 პროცენტამდე, ხოლო დივიდენდზე გადასახადი 5 პროცენტამდე მცირდება. აღნიშნული ცვლილების შესაბამისად გაანგარიშებულია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი და იგი 5 მილიარდ 320 მილიონ 600 ათას ლარს შეადგენს. გადასახადების მობილიზების მაჩვენებელი მთლიანი შიდა პროდუქტის 22.1 პროცენტია და 4 მილიარდ 759 მილიონ ლარს შეადგენს.

რა დაფინანსდება 6 მილიარდ 271 მილიონ 600 ათასი ლარით? მომავალ წელს გაგრძელდება ყველა იმ პრიორიტეტული ღონისძიებების დაფინანსება, რაც გათვალისწინებული იყო 2008 წელს. სოციალური დაცვის საქმეში ბევრი სიახლეა. მომავალი წლიდან 900 ადამიანი იქნება დაზღვეული. შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებები 2008 წელთან შედარებით იზრდება 176.7 მლნ ლარით და შეადგენს 1 494 612.1 ათას ლარს. აღნიშნული თანხის ფარგლებში დაგეგმილია სოციალური სახის პროგრამების დაფინანსების ზრდა, მათ შორის: 1 იანვრიდან გათვალისწინებულია ასაკის საფუძველზე დანიშნული პენსიის ზრდა 75 ლარამდე, ხოლო 1 ნოემბრიდან - 80 ლარამდე; 1 ივლისიდან ყველა, 2 წელიწადზე მეტი სტაჟის მქონე ასაკით პენსიონერი მიიღებს სტაჟის დანამატს 10 ლარის ოდენობით; 1 ნოემბრიდან 5 ლარით იზრდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პენსია და შეადგენს 70 ლარს; "სოციალური დახმარებების პროგრამის" ფარგლებში 2009 წლის 1 აპრილიდან 400 ათასი ყველაზე გაჭირვებული პირი, ოჯახზე 30-ლარიან დახმარებასთან ერთად, დამატებით ოჯახის თითოეულ წევრზე 12-ის ნაცვლად მიიღებს 24 ლარს; 1 სექტემბრიდან სოციალური დახმარებების სისტემა იქნება გრადაციული, ანუ დამატებით 200 ათასი პირი, ოჯახზე 20-ლარიან დახმარებასთან ერთად, მიიღებს ოჯახის თითოეულ წევრზე 16-ლარიან დახმარებას, ხოლო მომდევნო 300 ათასი პირი - 10-ლარიან დახმარებას და ოჯახის წევრზე დამატებით 8 ლარს.

ინფრასტრუქტურის პროექტებში ყველაზე მეტი ადამიანია დასაქმებული. ამიტომაც, ნიკა გილაურის განცხადებით, გაგრძელდება აღმოსავლეთი და დასავლეთი გზის მშენებლობა, რომელშიც 180 მილიონი ლარი დაიხარჯება. ადგილობრივი (შიდა) მნიშვნელობის გზების მშენებლობაში 121 მილიონი ლარი დაიხარჯება და ამ საქმეში მსოფლიო ბანკიც არის ჩართული.

"ეს ტრაქტორების პროგრამა მართლაც ამართლებს და მართლაც ეფექტურია," -ირწმუნება ნიკა გილაური და აცხადებს, რომ ტრაქტორების საქმისთვის 12 მილიონი ლარი დაიხარჯება.

## ილია II მოსკოვში, შესაძლოა, ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდეს

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II მოსკოვში ვიზიტის ფარგლებში, შესაძლოა, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდეს. ამის შესახებ უწმინდესმა წმინდა სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას განაცხადა.

"ჩვენი ვიზიტი აღემატება იმ მისიას, რისთვისაც ჩვენ რუსეთში მივდივართ. მე მათ მთელი ჩვენი ერის სახელით მინდა, ვუთხრა, რომ ქართველი ერი და ქართველი ადამიანი ვერასდროს შეურიგდება, რომ აფხაზეთი და ცხინვალი იყოს საქართველოს გარეშე," - ბრძანა კათოლიკოს-პატრიარქმა.

საკვირაო წირვაზე ილია II-მ რუსეთის პატრიარქზეც ისაუბრა. "მოსკოვისა და სრულიად რუსეთის კათოლიკოს-პატრიარქი ალექსი II იყო დიდი მეგობარი ქართველი ხალხისა და პირადად ჩემი. დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობა, რომელიც შეიქმნა რუსეთსა და საქართველოს შორის, აბრკოლებდა მას და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ეს დაძაბული ურთიერთობა განემუხტა," - განაცხადა პატრიარქმა ქადაგებისას.

უწმინდესთან ერთად რუსეთში ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი, მეუფე გერასიმე და ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტი, მეუფე თეოდორე მიემგზავრებიან. ასევე მოსკოვში მიემგზავრებიან ქართველი საზოგადო მოღვაწეებიც.

*ინტერპრესნიუსი*

პროექტი ერთობლივად ხორციელდება ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოსა" და გაზეთ "24 საათის" მიერ.



**"წრე" თქვენი, საქართველოს მოქალაქეების მიერ გამოგზავნილი SMS და E-MAIL ავტოგრაფებით იკვრება.**

- მე რომ განათლების სამინისტროში ვმუშაობდე, დავავალებდი ყველა სკოლას, ყოველ ორ კვირაში ატარონ ბავშვები თეატრებში, გამოფენებზე და მუზეუმებში; წინდაწინ მოველაპარაკებოდი, რომ ბილეთების საფასური იყოს სიმბოლური - ათი ან ოცი თეთრი. ყველასთვის კარგი იქნება ყოველმხრივ;

- შეიძლება მკრეხელობაა, რასაც ვიტყვი, მაგრამ ოსეთის და აფხაზეთის ცნობამ რამდენადაც აღმაშფოთა, იმდენადვე მშვიდი სიცხადე მომცა: ნიღაბჩამოხსნილი მტერი მირჩევნია, ბრძოლის სტრატეგია უფრო გარკვეული იქნება. ომი გარდუვალი იყო, მაგრამ ასეთი არ იქნებოდა, რომ არა 7 ნოემბერი.

- ამ მთავრობას მტრების გამრავლების ნიჭი აქვს;

- თუ რუსეთი მართლაც დაკარგავს დღევანდელ მატერიალურ მდგომარეობას, სეპარატისტებს აღარ მოუნდებათ მასთან ჩახუტება. ვიზიარებ პატარკაციშვილის აზრს, რომ სიმდიდრით შეიძლება იმის გაკეთება, რაც სხვაგვარად ვერ კეთდება - ანუ ღარიბი მოყვარეც კი არავის სჭირდება;

- ვიღაცამ ჩვენი "წრიდან" ჟარგონით და ზუსტად თქვა ის, რაც უნდა პუტინს -დაამარცხოს საქართველო და სააკაშვილი. თუ სხვა იქნება პრეზიდენტი, მაშინ მხოლოდ - საქართველო. თუმცა, თუ მისი ხელდასხმული ხელისუფალი არ იქნა, ყველა სააკაშვილად მოეჩვენება. მას უნდა, რომ იყოს ძალიან უფროსი ძმა და არა მარტო საქართველოსთვის;

- ვინმეს ბავშვები ახსოვს?! ვმსჯელობთ, ვინ დაიწყო ომი, ვინ უნდა იყოს პრეზიდენტი, "მაპი-მუპი", ვინ ვის ატყუებს ... ჩემი სახლის წინ საბავშვო ბაღია და იქ დევნილები ცხოვრობენ, უფროსებთან ერთად არიან ბავშვები და, კი არ მეჩვენება, ვხედავ, მათ ძალიან უჭირთ, უფრო მძიმედ, ვიდრე ქუჩაში ხელგაშვერილებს - მათ სული აქვთ გაწვდილი.

- ნუთუ მართლა ყველა უნდა სწავლობდეს უმაღლესში? დავეთანხმები გიგი თევზაძეს - თუ გვეყოლებიან უმაღლესდამთავრებული ხარატები, ზეინკლები, პარიკმახერები. რაც შეეხება სოციალურ სამართლიანობას, ნუ ვიგონებთ ველოსიპედს, ამ პრობლემის გადაჭრის გამოცდილება მსოფლიოში არის და, მართლაც, რა ბედენაა უცხო ენების ცოდნა ჭკუის გარეშე - ასი წლის წინ სამი უცხო ენა ყველა გუვერნანტკამ იცოდა;

- ამ დილით პრესის მიმოხილვაში გავიგე, რომ მომღერალმა ქეთა თოფურიამ თქვა, რუსები უფრო განვითარებულები არიანო. მესმის, რასაც გულისხმობდა - არა ზოგადად ერის კულტურას, არამედ თუნდაც ნაკითხობას. სამწუხაროდ, ვაღიარებ, რომ ყველაზე ქარაფშუტა ნახევრად შიშველი უნიჭო რუსი, მაგალითად მომღერალი, უფრო ღრმად და შინაარსიანად საუბრობს, ვიდრე ზოგი ჩვენი პარლამენტარი, აღარ ვამბობ იმას, რომ სიტყვების მარაგი არ შემოაკლდება და არ მოიშველიებს ტრადიციულ ქართულ ფრაზას: "რა ვიცი, აბა;"

- თქვენი გაზეთის მეშვეობით ვატყობინებ "რუსთავი 2"-ს, რომ კომუნისტებმა არ იცოდნენ სიტყვა "სეილი" და ლენინის შიშით ერიდებოდნენ ბარბარიზმებს. ფასდაკლება არსებობდა, ოღონდ ათ წელიწადში ერთხელ და, ძირითადად - ბალალაიკებზე;

- ბურჯანაძეს ისღა დარჩენია, რომ ნაწნავი დაიწნას და თავზე შემოიკრას ... იულიასი არ ვიცი და, ნინო ჩვენს პოლიტიკაში ნულია, აი ისეთი - ღირებული რიცხვის გვერდით მნიშვნელოვან ციფრს რომ შეადგენს, ცალკე კი მხოლოდ ნული რომაა. აბა, გაიხსენეთ მისი კარიერა. ასე რომ, ახლა თუნდაც მთელ სანათესაოს ამეორებინოს - ომი საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყოო, - რაც თავად არის, იმაზე მეტი ვერ გახდება. ამას რომ თავი დავანებოთ, მისი გაპრეზიდენტება კრემლში ყოველღამ ნეტარებით ესიზმრებათ: მოუძებნეს ქართველ ხალხს, რომ იმსახურებს, ისეთი პრეზიდენტი!

- გორში ტრენინგს ვატარებდი ( ეტყობა, ყველა თავს ვიმშვიდებთ, და მეც მგონია, რომ გაჭირვებულს ვეხმარებოდი) და ასაკოვანი კაცის ნათქვამი გავიგონე, ვიღაცას ელაპარაკებოდა: აი, დოქი რომ გადაივსება და ველარ იტევს სითხეს და გადმოხეთქავს, აი, ასე, სააკაშვილმაც ითმინა, ითმინა და ველარ მოითმინა;

- ვისთვის რა საიდუმლოა, რომ ჩვენ ჯარს ვაძლიერებდით, მაგრამ არა რუსების წინააღმდეგ და არა დაპყრობითი ომისთვის, არამედ დაგვებრუნებინა ის, რაც, ფაქტობრივად, რუსეთმა გადაწყვიტა, რომ მიისაკუთროს. ახლა ვიძახოთ, რომ პირველად საქართველომ გაისროლა, არანაირად მართალი არ არის, საქართველომ პირველად უპასუხა სროლას - აი, ეს კი სიმართლეა;

- არ მინდა, რომ ჩემი ცხოვრება დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების რია-რიაში დამთავრდეს, მომბეზრდა და მინდა, ვიცხოვრო პუტინების, გამყრელიძეების და ა.შ. გარეშე. მომსახურების ქვეყნად გადავიქცევითო - მერე, რა არის ამაში ცუდი? იქნებ თვლით, რომ რამეს წარმოვადგენთ, ვის რაში დავკარგვივართ, ავადმყოფი ტვინის ქვეყანა მაინც აღარ ვიქნებით და თითო-ოროლა "ინტელექტუალი" ყოველთვის გვეყოლება. რაში გვჭირდება, თორემ - კი.

# სიკეთე გადამდებია

დალი კუპრავა

*კომუნისტების დროს ბავშვებზე ზრუნავდნენ:*
*1 ივნისს ბავშვების მონაწილეობით ყვავილების დღესასწაული იმართებოდა, საახალწლოდ სპორტის სასახლეში ბავშვებს თოვლის ბაბუა საჩუქრებს ურიგებდა და 1 სექტემბერს ხელისუფლება ბავშვებს სწავლის დაწყებას ულოცავდა. ჰო, კიდევ ბავშვებს ამღერებდნენ - "პუსტ ვსეგდა ბუდეტ სოლნცე". ომის თემაზე ბავშვები მხოლოდ წიგნებს კითხულობდნენ და ფილმებს ნახულობდნენ. გადმოცემით "ომისდროინდელი" ძლიერი შთაბეჭდილება ის იყო, რომ ბლოკადირებულ ლენინგრადში ხალხი შოსტაკოვიჩის ახალ სიმფონიას უსმენდა, ხალხი ნავთის უგრძეს რიგში იდგა და იმედიანად იყო - სტალინს მოსკოვი არ დაუტოვებიაო. მაშინაც მთავარი ოჯახში იყო - სიყვარული.*







ეს ამბავი წელს ივლისში მოხდა, აგვისტოში კი ბავშვების ნაწილი იძულებით გადაადგილებული გახდა.

ივლისში თელავში საზაფხულო დასასვენებელი ბანაკი გაიხსნა. თბილისელი, ასპინძელი, ცხინვალელი და გორელი ბავშვები ერთად ისვენებდნენ. მაშინ გაიცნეს ერთმანეთი, როცა თბილისელებმა არათბილისელებს თბილისში უმასპინძლეს: **"ჩვენ ასპინძელი, გორელი, ცხინვალელი და თბილისელი ბავშვები ბანაკის პირველ დღეს ერთმანეთს "როზალის" შოკოლადის ქარხნის წინ შევხვდით. ჩვენ ერთმანეთს სხვადასხვა კითხვას ვუსვამდით: რა გქვია? რა გვარი ხარ? რამდენი წლის ხარ? საიდან ხარ?"**

ბანაკამდე რამდენიმე დღის განმავლობაში თბილისში ურთიერთობების ჩანასახი ჩნდებოდა: **"ჩვენი ბანაკი თბილისში "მარკო პოლოს გემზე" მოგზაურობით დაიწყო, სადაც, როგორც მეზღვაურებს შეგვეფერებოდა, გემრიელად ვისადილეთ, მერე წყალქვეშა ნავით "ვიმოგზაურეთ" "ასტრა პარკში".**

განსხვავება მხოლოდ მათ გეოგრაფიულ წარმომავლობაში როდი იყო, მათ შორის სოციალური სხვაობა არსებობდა: თბილისელები იყვნენ ბავშვები, რომლებიც ოჯახებთან ერთად ცხოვრობენ და სხვა ქალაქებიდან - ბავშვთა სახლების ბინადარნი, რომლებიც მშობლებთან ერთად არ ცხოვრობდნენ. ბავშვების ასაკი რვიდან თორმეტ წლამდე იყო. ამ ასაკში ამ ტიპის სოციალური სხვაობა გარეგნულად, ტანსაცმლითა და საყოფაცხოვრებო ნივთებით არ განისაზღვრება, ის უფრო ღრმადაა და, დროული პრევენციის გარეშე, მომავალში არასახარბიელო შედეგი აქვს ხოლმე (ღმერთმა გვაშოროს, ფუი ეშმაკს, მაგრამ რუსეთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის პუტინის მაგალითიც კმარა).

თითოეული მათგანისთვის ერთად დაბანაკება სერიოზული გამოცდიდან მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ გამოცდილებად გადაიქცა, რომელიც მთელი ცხოვრება ემახსოვრებათ.

თელავი თავისთავად ისტორიული ღირსშესანიშნაობაა და ამას დამატებული ლაშქრობები დანარჩენ კახეთში, კოცონი და გასაშლელ კარვებში საძილე ტომრებში ცხოვრება, როგორც თვითონვე ამბობენ, "ქული" იყო, ურთიერთობები კი - "სუპერი". ერთ "არსებით" უთანხმოებას თუ არ ჩავთვლით, რომ ბანაკის სახელზე ვერ შეთანხმდნენ: გოგოები აპროტესტებდნენ, მაგრამ ბიჭების მოთხოვნით ბანაკს "ჩემპიონი" დაერქვა. ესეც ბუნებრივია, ყველა ბიჭის სურვილია ან ყველას სურვილი უნდა გახდეს, იყოს ჩემპიონი, როგორც გორელი გურამ მელიქიძე წერს: **"თელავში ჩამოსვლამდე თბილისი დავათვალიერე და ყველაზე ძალიან სამების ტაძარი მომეწონა. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში პირველი და ყველაზე დიდი ტაძარი. საინტერესო დღის შემდეგ სტუმრად ახალ მეგობართან, თამუნასთან წავედი; მეტროთი პირველად ვიმგზავრე, ესკალატორმა ძალიან გამაოცა. მეტრო ძალიან მოხერხებული ტრანსპორტი ყოფილა. მეორე დღეს თელავში დავბანაკდით, სხვა ღონისძიებებთან ერთად ვვარჯიშობთ ფეხბურთში. მჯერა, რომ ოდესმე ჩემს ოცნებას ავიხდენ და ჩემპიონი გავხდები".**

როგორი კეთილშობილური იდეაც უნდა იყოს, ოცდაორი ბავშვის კვება, სწავლა, გართობა, მოკლედ, ერთ ოჯახად ჯანმრთელი ცხოვრება იაფი არ არის. მართალია, თბილისელმა ბავშვებმა, რომლებიც საშუალო შეძლების ოჯახებიდან იყვნენ, შეძლეს და გადაიხადეს ნომინალური თანხა, მაგრამ ეს ვერ იქნებოდა საკმარისი, რომ არა - სხვადასხვა ადამიანისა და ორგანიზაციის ქველმოქმედება. მათი რიცხვი თითქმის ოცდაათი იყო და ბანაკის ორგანიზატორებს ქალთა საინფორმაციო ცენტრიდან ამის თქმა არ დავიწყებიათ - მობანაკეებმა იცოდნენ ის კეთილისმყოფელები, ვისი დახმარებითაც მშვენიერი დღეები გაატარეს. იმისათვის, რომ მათ ხარისხიანი და გემრიელი პური ეჭამათ, ეკოლოგიურად სუფთა ხორბლის ფქვილით ბანაკს დაეხმარა არასამთავრობო ორგანიზაცია "ბილიკი" და კაფე-ბარი "ტუკანი", მერე თელავში ინდ. მეწარმე "გრემელაშვილი" ამ ფქვილით უსასყიდლოდ უცხობდა თონის პურს, ხოლო ლიტვური საცხობი სასარგებლო ჭვავის პურით ამარაგებდა - მათ იზრუნეს, რათა "ჩემპიონების" გამარჯვებისათვის საჭირო ძალა უზრუნველეყოთ. აი, "ვისოლი" მანქანის საწვავით უზრუნველყოფდა "ჩემპიონთა" მიმოსვლას, ტკბილეულს ქარხანა - "ტკბილი ქვეყანა" არ აკლებდათ, "ავერსი", "იმედი L" და IMMSMM კი მათ ჯანმრთელობაზე ზრუნავდნენ მათ ირგვლივ ბევრი იყო კეთილი ადამიანი და შრომობდნენ, სწავლობდნენ თუ ერთობოდნენ, მათ ეს ახსოვდათ. ჯერ კიდევ თბილისში "დავთიანების თოჯინების სახლში" ყოფნისას წარმოდგენილი თოჯინა-გარი დავთიანი არწმუნებდა მათ, რომ ბოროტი თოჯინები არ არსებობს, ხოლო თოჯინა ადამიანისგან იბადება.

საბანაკო ცხოვრება დასრულდა და ცხოვრებამ მათ იქვე შესთავაზა ძალიან სერიოზული გამოცდა - ომი. თვითმფრინავის ხმის გაგონება აღარ უყვართ, **"ადრე მიყვარდა, ახლა მეშინია, მირჩევნია, არ გავიგო, უკეთ ვარ..."**

**"რომ ვიხსენებ თელავს, მიხარია, რომ იყო..."**

როცა ცხინვალისა და გორის რეგიონიდან დევნილები თბილისს შემოეხიზნენ, თბილისელებს ქალთა საინფორმაციო ცენტრი თანაბანაკელების მოძებნაში დაეხმარა. თბილისელებმაც, როცა ყველა გორელი და ცხინვალელი მეგობრის ასავალ-დასავალი გაიგეს, გაუხარდათ და "მართლა დაეხმარნენ."

იქ, თელავში ცხოვრებისას მათ ერთი გასართობი ჰქონდათ - ერთმანეთს ნომინაციებზე წარადგენდნენ და მერე ტიტულებს მიაკუთვნებდნენ ხოლმე, "ნორჩი მელექსე" გორელი თეონა მენაბდიშვილი იყო, "საუკეთესო დამცველი"- თბილისელი ალექსანდრე გაჩეჩილაძე, "მუხლუხოების რისხვა" - თბილისელი ანასტასია შარვაშიძე, "კაცი ოცნება" - გიორგი ზედგენიძე ცხინვალის რეგიონიდან, "კარვების დედოფალი" - ელენე ჯიქია თბილისიდან, "სალამურა" - გორელი გიორგი მიხანაშვილი, "სტატიების ჩემპიონი" - თბილისელი მარიამ ჩხაიძე , "ჩიფსებისა და იოგურტების რისხვა"- გიორგი რუაძე თბილისიდან, "მძინარა მზეთუნახავი" ანა გონიტაშვილ- ასპინძელი, "კაცი კამფეტი" - ნიკოლოზ გაჩეჩილაძე თბილისიდან, "მისტერ პეტრუშკა"- ნიკოლოზ პეტრიაშვილიც თბილისელია, "დრუნჩა ბიჭი" - გიგი ლონდარიძე ასპინძელია, "მელიების რისხვა" ლუკა ბიწკინაშვილი და ბანაკის "ჯენტლმენი" გიორგი ფოცხვერაშვილი ცხინვალელები არიან, "მისტერ სერიოზულობა" ილია ხუბულური გორელია, "ხელმარჯვე ოსტატი"- გურამ მელიქიძე და "მომღერალი ჩიტი" ნათია ცინაძე - ასპინძელები, "ადამიანი სიწყნარე" ნინი ჯიქია და "ყველაზე მოძრავი ჩემპიონი" ნენე ღალანიძე თბილისიდან გახლავან... მათთან ერთად იყო ერთი გორელი ვასიკო ბიბილური, რომელსაც ბანაკში "მისტერ კისკისა" შეარქვეს. როცა ომის შემდეგ თბილისში ვნახეთ, ვასიკო აღარ იცინოდაო, თქვეს ბანაკელმა თბილისელმა გოგოებმა.

მათ დღეს მარტო თელავის "ჩემპიონი" კი არა, ომი აერთიანებთ. ამაში, ცხადია, რთულია, მაგრამ კარგის დანახვაც შეიძლება...

*P.S ადრე სპორტის სასახლის ნაძვის ხის ზეიმიდან დაბრუნებული ბავშვი სახლში უფროსებს უყვებოდა, რა ნახა. სპექტაკლი-მონათხრობი ორმოქმედებიანი იყო. პირველს ერქვა "ქართული თოვლის ბაბუა", მეორეს - "რუსული თოვლის ბაბუა". უფროსებს კარგად ემახსოვრებათ, რომ იმ დროს თოვლის ბაბუაც კი ორი იყო - ჩოხოსანი და "დედ მოროზი".*

სასამართლო დარბაზი

# ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შემამსუბუქებელი განაჩენები

*ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე შემამსუბუქებელი განაჩენი გამოიტანა. თანაც, აღსანიშნავია, რომ სამივე საქმე მძიმე კატეგორიის დანაშაულს განეკუთვნებოდა. საქმეების განხილვისას, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ საქმეებში არ არსებობდა მყარი და უტყუარი მტკიცებულებები. მით უმეტეს, რომ კანონით, განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი.*




*ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე შემამსუბუქებელი განაჩენი გამოიტანა.*

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ხობის რაიონული სასამართლოს განაჩენში მსჯავრდებულის სასიკეთო ცვლილება შეიტანა და მას ყაჩაღობისთვის მსჯავრდება მოუხსნა.

რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 ივნისის განაჩენით, იაგო გერგაიას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი. მას მსჯავრი საქართველოს სს კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით ჩადენილი დანაშაულისთვის დაედო. ამავე განაჩენის მიხედვით, გერგაიამ მიმოზა ღადუას ოჯახიდან ყაჩაღური გზით, დანის გამოყენებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში მუქარით გაიტაცა 1720 ლარის ღირებულების საოჯახო ნივთები. დამნაშავე გზაზე რაიონული პოლიციის ორმა თანამშრომელმა შეამჩნია და მისი შეჩერება სცადეს. განაჩენის მიხედვით, გერგაიამ ნაყაჩაღარი ნივთების ნაწილი დაყარა და სოფელ გურიფულის მიმდებარე ტყისკენ გაიქცა. შემთხვევიდან ორი დღის შემდეგ, პოლიციამ გატაცებული მუსიკალური ცენტრის ნაწილები გერგაიას სახლის უკან მდებარე ნალიიდან ამოიღო.

მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა სააპელაციო საჩივრით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიმართეს. გერგაიას მიერ ამ დანაშაულის ჩადენაზე მტკიცებულებების არარსებობის მოტივით, მათ სააპელაციო სასამართლოსაგან მსჯავრდებულის გამართლება მოითხოვეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა დაცვის მხარის არგუმენტაცია და მისი საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. სისხლის სამართლის პალატის მიერ გამოტანილი განაჩენის სამოტივაციო ნაწილში აღნიშნულია: **"საქართველოს სს კოდექსის 503-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. იგი დგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვის დროს დამტკიცდება განსასჯელის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე. ამავე კოდექსის 132-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა ეჭვის გამომრიცხავ და ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა".**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ დადასტურებულად არ მიიჩნია გერგაიას მიერ ყაჩაღური თავდასხმის ჩადენის ფაქტი. დაზარალებულ მიმოზა ღადუას ჩვენების მიხედვით, იგი გერგაიას ადრეც იცნობდა, მაგრამ ნიღბიან თავდამსხმელში ეს პიროვნება ვერ ამოიცნო. პოლიციის თანამშრომლების მამუკა ალექსანდრიასა და გოგიტა გაბისონიას ჩვენებებით, გაქცეული დამნაშავე, რომელმაც მიწაზე ნაყაჩაღარი ნივთები დაყარა, არ შეუძლიათ ამოიცნონ. მათივე სიტყვებით, ბნელოდა და დამნაშავის სახე არც დაუნახავთ. დაცვის მხარის შუამდგომლობით, სასამართლო სხდომაზე დაკითხული ორი მოწმეც ადასტურებს, რომ 2008 წლის 1 თებერვლის ღამეს ისინი ღამის 2 საათამდე მსჯავრდებულთან ერთად იყვნენ გერგაიას სახლში. პალატამ ჩათვალა, რომ ყაჩაღობიდან 2 დღის შემდეგ გერგაიას კუთვნილი ნალიიდან ამოღებული ნივთები არ არის საკმარისი საფუძველი პირის ყაჩაღობაში დადანაშაულებისთვის.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მსჯავრდებულ გერგაიას ჩვენება იმის შესახებ, რომ ნაყაჩაღარი ნივთები მის ნალიაში პოლიციის თანამშრომელმა ჩადო, რადგან აღნიშნული გარემოება არ დადასტურდა საქმის სხვა მასალებით. არსებული მტკიცებულებებისა და საქმის მასალების შეჯერებით, სასამართლომ დაადგინა, რომ წარსულში სხვისი ქონების ქურდობისთვის ნასამართლევმა იაგო გერგაიამ დაუდგენელი პირისგან შეიძინა გატაცებული "ტექნიკსის" ფირმის მაგნიტოფონი და გამაძლიერებელი, ცენტრის შემადგენელი სხვა ნაწილებისა და საბუთის გარეშე. მისთვის ცნობილი იყო აღნიშნული ნივთების დანაშაულებრივი გზით მოპოვების შესახებ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ იაგო გერგაია დამნაშავედ ცნო საქართველოს სს კოდექსის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით.

### მკვლელობისთვის მსჭავრდებულს სასჭელი 9 წლით შეუმცირეს

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ კიდევ ერთი საქმე განიხილა და განზრახ მკვლელობისთვის მსჯავრდებულის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 9 ივნისის განაჩენით, მსჯავრდებულ ოთარ სურგულაძეს 25 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი. რაიონულმა სასამართლომ მას საქართველოს სს კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით, მე-19, 108-ე და 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით დასდო მსჯავრი. სურგულაძის დაცვის მხარემ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოსაგან ითხოვა წარდგენილ ბრალდებებში მსჯავრდებულის უდანაშაულოდ ცნობა და მისი მსჯავრდება საქართველოს სს კოდექსის 116-ე მუხლით – გაუფრთხილებლობით ჩადენილი მკვლელობა.

საქმის მასალების მიხედვით, დანაშაული სოფელ მაკვანეთში 2007 წლის 28 ოქტომბერს მოხდა. ნასვამ მამა-შვილს ოთარ და ზურაბ სურგულაძეებს სატელეფონო საუბრისას სიტყვიერი კონფლიქტი მოუვიდათ დავით ცერცვაძესთან. ოთარ სურგულაძემ ამ უკანასკნელს შეხვედრა სოფელ ჭანეთის ცენტრში დაუნიშნა. თავად კი, შვილთან ერთად, მამისეულ სახლში წავიდა და იქიდან ცერცვაძის მოკვლის მიზნით ვაზნებით დამუხტული ორლულიანი თოფი წამოიღო. გასაჩივრებული განაჩენის მიხედვით, სურგულაძემ მანქანიდან გადმოსვლისთანავე შეურაცხმყოფელი სიტყვებით დაუძახა დავით ცერცვაძეს. პასუხად გინება გაიგონა და სიბნელეში ცერცვაძის მიმართულებით გაისროლა. მანვე შემთხვევის ადგილას შენიშნა თამარ ჩხეიძე, დავით ცერცვაძის დედა და ხულიგნური ქვენა გრძნობით, სანადირო თოფიდან მიბჯენით ესროლა მას. მკვლელმა მსხვერპლი თავადვე ჩასვა მანქანაში და საავადმყოფოში წაიყვანა, მაგრამ თამარ ჩხეიძე მანქანაშივე გარდაიცვალა. მას მიყენებული ჰქონდა ერთი გამჭოლი ჭრილობა გულ-მკერდის მიდამოში მარჯვნივ და გამჭოლი ჭრილობა მარჯვენა ფილტვში.

მოწმეთა ჩვენებების მიხედვით, სურგულაძის მანქანის გაჩერება და სროლა თითქის ერთდროულად მოხდა. დამნაშავე მსხვერპლისგან მინიმუმ 20 მეტრით იყო დაცილებული და ბნელოდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებზე დაყრდნობით დადასტურებულად ჩათვალა, რომ სურგულაძეებსა და ცერცვაძეს შორის მოხდა კონფლიქტი და ოთარ სურგულაძის ნასროლი ტყვიით გარდაიცვალა თამარ ჩხაიძე, მაგრამ არ გაიზიარა მკვლელობის მოტივი - ხულიგნური ქვენა გრძნობით მკვლელობა.

**"ჩვენებებითა და საქმის სხვა მასალებით დადგენილი არ არის, ოთარ სურგულაძეს გააჩნდა თუ არა გარდაცვლილ თამარ ჩხაიძის მკვლელობის რაიმე მოტივი. უფრო მეტიც, სწორედ მოტივის არარსებობა დაუდო საფუძვლად საბრალდებო დასკვნამ და პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენმა თამარ ჩხაიძის მკვლელობის ხულიგნური ქვენა გრძნობით დაკვალიფიცირებას, რასაც სააპელაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს. მკვლელობის მოტივის დაუდგენლობა არ შეიძლება გახდეს მისი ხულიგნური ქვენა გრძნობით დაკვალიფიცირების ერთადერთი საფუძველი. ის გარემოება, რომ ოთარ სურგულაძეს არ ჰქონია თამარ ჩხაიძის მკვლელობის განზრახვა, პალატას დადასტურებულად მიაჩნია,"** - აღნიშნულია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ოთარ სურგულაძეს მსჯავრი უნდა დაედოს 108-ე მუხლით - განზრახ მკვლელობაში.

**"ოთარ სურგულაძე გასროლისას ითვალისწინებდა და შეგნებულად უშვებდა ადამიანის სიკვდილს,"** - ასეთია სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის პოზიცია დანაშაულთან მიმართებაში. პალატამ სურგულაძეს განზრახ მკვლელობისა და მისი სახლიდან ამოღებული საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისათვის 16 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

### გათავისუფლება სასამართლო დარბაზიდან

"24 საათის" 5 დეკემბრის ნომერში "ადამიანის უფლებათა ცენტრის" ინფორმაციაზე დაყრდნობით დაიბეჭდა სტატია სახელწოდებით "11 წლის შემდეგ გამოტანილი განაჩენი". სტატიაში საუბარი იყო აფხაზეთიდან დევნილ ირმა შარიას საქმეზე. "ადამიანის უფლებათა ცენტრის" განცხადებით, ირმა შარია, რომელიც ქურდობაში იყო ბრალდებული და 11 წლის მანძილზე იძებნებოდა, თერჯოლის რაიონულმა სასამართლომ გაასამართლა და იმის გამო, რომ განაჩენი კარგა ხნის დაგვიანებით ჩაბარდა, მსჯავრდებულს არ მიეცა საშუალება სააპელაციო საჩივრით მეორე ინსტანციის სასამართლოსათვის მიემართა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით კი, 2008 წლის 18 ნოემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში შევიდა მსჯავრდებულ ირმა შარიას სააპელაციო საჩივარი თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 31 მაისის განაჩენზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით, ირმა შარია, რომელიც ძებნილი იყო, 2008 წლის 12 სექტემბერს დააკავეს და სასჯელის მოხდის მიზნით მოათავსეს ქუთაისის მე-2 საპყრობილეში. მსჯავრდებულმა სააპელაციო საჩივარი ქუთაისის საპყრობილის ადმინისტრაციას 2008 წლის 1 ოქტომბერს წარუდგინა. ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ხიჯაკაძემ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატაში წარადგინა საპროცესო შეთანხმება, რომელიც გაფორმებული იყო მსჯავრდებულს, მის ადვოკატსა და ზესტაფონის რაიონული პროკურატორის პროკურორს შორის.

2008 წლის 5 დეკემბერს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით, საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა. ირმა შარია, რომელიც მსჯავრდებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ პატიმრობიდან გაათავისუფლა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე, 64-ე მუხლების შესაბამისად, ირმა შარიას სასჯელი ჩაეთვალა პირობით 2 წლის გამოსაცდელ ვადად და იგი სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა.

# შურისძიება მაღალჩინოსნებზე

იაპონიის პოლიცია დამნაშავეს ეძებს, რომელიც შურისძიების მოტივით ჯანდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებსა და მათი ოჯახის წევრებზე თავდასხმებს აწყობს. ერთ-ერთი ვერსიით, დამნაშავე შურს იძიებს ბიუროკრატიულ შეცდომაზე, რომლის გამოც 64 მილიონმა პენსიონერმა კუთვნილი თანხა ვერ მიიღო.

თავდამსხმელმა იაპონიის ჯანდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე და მისი მეუღლე მოკლა. მოკლულების ცხედრები მათსავე საცხოვრებელ სახლთან ნახეს. მათ სხეულზე დანით მიყენებული მრავლობითი ჭრილობები აღენიშნებოდათ. გამოძიებამ დაადგინა, რომ მკვლელობა ღამით მოხდა.

ჯანდაცვის მინისტრისა და მისი მეუღლის მკვლელობის შემდეგ, თავდასხმის ობიექტი ჯანდაცვის მინისტრის მეორე მოადგილის ოჯახი გახდა. ბოროტმოქმედის სამიზნე ამჯერად მაღალჩინოსნის მეუღლე გახდა, რომელსაც გულ-მკერდის არეში მძიმე ჭრილობები მიაყენა. მიუხედავად იმისა, რომ დაშავებულის მდგომარეობა საკმაოდ მძიმე იყო, მისი გადარჩენა მოხერხდა. დაზარალებულმა დეტალურად აღწერა დამნაშავე, რის საფუძველზეც სამართალდამცველებმა დაადგინეს, რომ თავდამსხმელი დაახლოებით 30 წლისაა.

იაპონიის უშიშროების სამსახური და ქვეყნის ხელისუფლება მომხდარს 2007 წელს პენსიებთან დაკავშირებულ ცნობილ სკანდალს უკავშირებენ. მაშინ იაპონიის სოციალური დაზღვევის სააგენტოს არაეფექტური მართვის შედეგად გადასახადების მილიონობით ჩანაწერი დაიკარგა, რამაც იაპონელების უკმაყოფილება გამოიწვია. ორივე ჩინოვნიკი, რომელთა ოჯახებიც თავდასხმის ობიექტები გახდნენ, სწორედ აღნიშნულ განყოფილებებს კურირებდნენ.

იაპონიის პრემიერ-მინისტრის მოთხოვნით, სამართალადმაცველებმა ამ საქმესთან დაკავშირებული მაღალჩინოსნების დაცვა გააძლიერეს და მათი სახლები განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანეს.

# მკვლელი ტაქსის მძღოლები

*ბოლო დროს, რუსეთის ფედერაციის მართლმსაჯულების წინაშე ზედიზედ რამდენიმე ტაქსის მძღოლი წარდგა. ყველა მათგანი მგზავრებზე განხორციელებული თავდასხმებისთვის გაასამართლეს.*

ცოტა ხნის წინ, მოსკოვში, განაჩენი გამოუტანეს ტაქსის მძღოლს, რომელიც სერიული მკვლელი აღმოჩნდა. 54 წლის ალექსანდრ ელისტრატოვს ბრალად ედებოდა ექვსი მკვლელობა, სამი მკვლელობის მცდელობა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა, შენახვა, ტარება. როგორც გაირკვა, ის ადრე ჩადენილი სხვადასხვა დანაშაულებისთვის სამჯერ იყო ნასამართლევი.

გამოძიების ინფორმაციით, ელისტრატოვი საკუთარ მგზავრებს, დაყაჩაღების მიზნით, ესხმოდა თავს. თავდასმისას ის ცეცხლსასროლ იარაღს იყენებდა, რომელიც მუდმივად მანქანაში ჰქონდა.

სამართალდამცველებმა ელისტრატოვი მისი ერთ-ერთი მგზავრის დახმარებით დააკავეს. მგზავრმა, რომელიც ალექსანდრ ელისტრატოვმა დააყაჩაღა, შემდეგ მძიმედ დაჭრა და მანქანიდან გადმოაგდო, ქუჩაში მყოფ სამართალდამცველებთან მიღწევა შეძლო. ის რამდენიმე წუთში გარდაიცვალა, თუმცა მანამდე მომხდარის მოყოლა და თავდამსხმელი ტაქსის მძღოლის გარეგნობის დეტალურად აღწერა მოასწრო.

სასამართლო პროცესზე განსასჯელმა წარდგენილ ბრალდებებში ნაწილობრივ ცნო თავი დამნაშავედ. ალექსანდრ ელისტრატოვს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.

ცოტა ხანში, სასამართლოს წინაშე წარგება კიდევე ერთი ტაქსის მძღოლი, რომელსაც, ალექსანდრ ელისტრატოვისგან განსხვავებით, ერთი მგზავრის მკვლელობა ედება ბრალად. სამართალდამცველების ინფორმაციით, მან დანაშაული უკვე აღიარა. "მგზავრი მივიყვანე მის მიერ მითითებულ ადგილას, ის ნასვამი იყო და ისე დაეძინა, ვერაფრით გავაღვიძე. გაბრაზებულმა სასიკვდილოდ ვცემე," - ასეთი ჩვენება მისცა სამართალდამცველებს ტაქსის მძღოლმა. როგორც გაირკვა, მან მოკლული გაძარცვა – მისი მობილური ტელეფონი და საფულე, სადაც 400 რუბლი იდო, მიითვისა. გარდაცვლილის ნივთები სამართალდამცველებმა დაკავებულის ბინის ჩხრეკისას აღმოაჩინეს.

ტაქსის მძღოლები დააკავეს უკრაინაშიც. ამ შემთხვევაში, მკვლელობა ცხელ კვალზე გაიხსნა. ერთი მგზავრის მკვლელობისთვის სამ მძღოლს გაასამართლებენ. როგორც გაირკვა, სამმა მძღოლმა ლინჩის წესით გაასამართლა მგზავრი, რომელიც მათ რეგულარულად ატყუებდა.

გამოძიების მსვლელობისას გაირკვა, რომ მგზავრი ტაქსს იძახებდა, საკუთარ საქმეებზე შორ მანძილზე მიდიოდა და ტაქსის მძღოლებს სთხოვდა, დალოდებოდნენ, თუმცა, თვითონ უკან აღარ ბრუნდებოდა.

გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ტაქსის მძღოლებმა დაადგინეს, რომ მათ ერთი და იგივე მგზავრი ატყუებდა. ისინი შეთანხმდნენ, რომ თაღლითისთვის პასუხი მოეთხოვათ. ერთ-ერთი მორიგი გამოძახებისას, ერთმანეთში მორიგებულმა მძღოლებმა მგზავრი იძულებით ერთ-ერთი მიტოვებული სახლის სარდაფში ჩაიყვანეს, ფული მოსთხოვეს და ლინჩის წესით გაასამართლეს. დანაშაულის დაფარვის მიზნით, მათ ცხედარი ერთ-ერთ საქარხნო დასახლებაში დატოვეს.

## მოკლედ

### ყაჩაღობაში ექვმიტანილი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა ყაჩაღობაში ექვმიტანილი დააკავეს.

როგორც შსს-ს პრესსამსახურში აცხადებენ, 1985 წელს დაბადებული ალექსანდრე ხაჭაპურიძე ყაჩაღურად თავს დაესხა საიუვილერო მაღაზიაში მყოფ მოქალაქეს და ცეცხლსასროლი იარაღის მსგავსი სანთებელას მუქარით გასტაცა 4630 ლარის ღირებულების ოქროს ნაკეთობები.

მიმდინარეობს გამოძიება. საქმეს იძიებს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო.

*ინტერპრესნიუსი*

### რუსეთმა სტრასბურგში რვა საქმე წააგო

რუსეთმა სტრასბურგში რვა საქმე წააგო. ევროპის სასამართლომ რუსეთი ჩეჩნეთის მოქალაქეების უფლებების დარღვევაში დამნაშავედ ცნო.

სტრასბურგის სასამართლომ რვა საქმე განიხილა, რომლებიც ადამიანთა გაუჩინარებას, ლინჩის წესით დასჯასა და დანაშაულის არაეფექტურად გამოძიებას ეხებოდა.

სტრასბურგის სასამართლოს მიერ გამოტანილ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ დაზარალებულთა მიერ რუსეთის სასამართლო ინსტანციებში არა ერთი ჩივილის მიუხედავად, რუსეთის ხელისუფლებამ ობიექტური გამოძიების ჩატარება ვერ მოახერხა.

ევროსასამართლოს დადგენილებით, რუსეთმა ადამიანთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კონვენციის რამდენიმე მუხლის პირობები დაარღია, რის გამოც, შესაბამისი ფულადი ანაზღაურება დაეკისრა.

*მედიანიუსი*

### გერმანელი მილიარდერის ცხედარი მოიპარეს

ავსტრიაში, გერმანელი მილიარდერის ფრიდრიჰ კარლ ფლიქის ნეშტი საფლავიდან მოიპარეს. როგორც გაირკვა, ეს უცნაური ქურდობა ჯერ კიდევ ნოემბერში მოხდა, თუმცა, ავსტრიელმა სამართალდამცველებმა მომხდარი გაასაიდუმლოვეს. პოლიციელებმა ჯერ კიდევ ვერ დაადგინეს, სად შეიძლება ინახებოდეს მილიარდერის ნეშტი.

გარდაცვლილის ოჯახი ნეშტის მპოვნელს ან ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის მიმწოდებელს, ჯილდოს სახით 100 ათას ევროს გადასცემს. ჟურნალ "ფორბსის" შეფასებით, 2006 წელს, გარდაცვალებისას ფრიდრიჰ კარლ ფლიქი მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა შორის 96-ე ადგილს იკავებდა.

*მედიანიუსი*

### პოლიციასა და მძარცველებს შორის შეტაკებას 17 ადამიანი ემსხვერპლა

17 ადამიანი დაიღუპა მანილაში მძარცველთა დაჯგუფებასა და პოლიციას შორის ატეხილი ორმხრივი სროლებისას. პოლიციამ დროულად მიიღო ინფორმაცია მოსალოდნელი დანაშაულის შესახებ, ამიტომაც, შემთხვევის ადგილზე ათეულობით პოლიციელი მძარცველებზე ადრე გამოცხადდა.

ბანდიტებმა, რომელთაც ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღები ჰქონდათ, პოლიციელები შეამჩნიეს და მათ ტყვიამფრქვევებიდან გაუხსნეს ცეცხლი. უმიზნო სროლამ ბანდის 12 წევრის, ოთხი შემთხვევითი გამვლელისა და ერთი პოლიციელის სიცოცხლე იმსხვერპლა. სამმა მძარცველმა ავტომობილით მოახერხა გაქცევა.

*მედიანიუსი*



# ყველაზე მასშტაბური სახელმწიფო ინვესტიციები

### ობამა თანამოქალაქეებს დამატებით სამუშაო ადგილებს ჰპირდება

ამერიკის შეერთებული შტატების ახლად არჩეული პრეზიდენტი ბარაკ ობამა თანამოქალაქეებს თეთრ სახლში თავისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე ამერიკის ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ხელმისაწვდომი მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის გავრცელებას ჰპირდება.



ყოველკვირეულ მიმართვაში ობამამ აღნიშნა, რომ მისი გეგმა 2011 წლამდე, სულ მცირე, 2.5 მლნ ახალი სამუშაო ადგილის შექმნის შესახებ, 1950-იანი წლების შემდეგ ყველაზე მასშტაბურ სახელმწიფო ინვესტიციებს გულისხმობს.

**“ნაციონალურ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების განთავსებით, რაც უმსხვილესი იქნება 1950-იან წლებში ავტომაგისტრალის ფედერალური სისტემის შექმნიდან დღემდე განხორციელებულთა შორის, ჩვენ მილიონობით სამუშაო ადგილს შევქმნით,”** – განაცხადა საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულმა “დემოკრატმა” კანდიდატმა.

პოლიტიკოსმა, რომელიც პრეზიდენტის უფლებამოსილების შესრულებას მომავალი წლის 20 იანვრიდან შეუდგება, ისიც აღნიშნა, რომ სახელმწიფო თანხების გამოყენება უმკაცრესად გაკონტროლდება.

**“ჩვენ თქვენს ძვირადღირებულ საგადასახადო აშშ დოლარებს ახლებურად და უფრო ეფექტურად განვათავსებთ ინვესტიციების სახით ქვეყნის ინფრასტრუქტურაში. ჩვენ მარტივ წესებს დავაკანონებთ: ან აითვისეთ თანხები, ან უკან დააბრუნეთ. თუ სახელმწიფო ორგანოები ვერ შეძლებენ ფულის სწრაფად ინვესტირებას გზებისა და ხიდების მშენებლობაში, ამ თანხებს, უბრალოდ, დაკარგავენ,”** – აღნიშნა ბარაკ ობამამ.

იგი ასევე აპირებს ამერიკის მოქალაქეების საცხოვრებელ სახლებში, სკოლებსა და სახელმწიფო დაწესებულებებში ენერგეტიკული ტექნოლოგიების დანერგვას, კერძოდ, გათბობის სისტემების განახლებასა და ახალი ელექტრონათურების გავრცელებას.

**“ამჟამად ჩვენი ხელისუფლება მსოფლიოში ყველაზე მეტს იხდის მოხმარებული ენერგიის საფასურად. ეს კი აუცილებლად უნდა შევცვალოთ,”** – აღნიშნა ობამამ.

გარდა ამისა, მომავალი “დემოკრატი” პრეზიდენტი თანამოქალაქეებს პირობას აძლევს, რომ ინტერნეტი ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება; ეს ეხება სკოლებსა და საავადმყოფოებსაც.

**“დაუშვებელია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, ფართომასშტაბიანი ქსელების გავრცელების თვალსაზრისით, მსოფლიოში რიგით მეთხუთმეტე ადგილს იკავებდეს. ქვეყანაში, რომელმაც ინტერნეტი გამოიგონა, ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს გლობალურ ქსელში შესვლის შესაძლებლობა. მაშინ, როცა მე პრეზიდენტის უფლებამოვალეობის შესრულებას შევუდგები, ბავშვებს ექნებათ ინტერნეტის გამოყენების შესაძლებლობა. სწორედ ამ ფორმით გავამყარებთ შეერთებული შტატების კონკურენტუნარიანობას მსოფლიოში,”** – განაცხადა “დემოკრატმა” ბარაკ ობამამ.

მისი ზემოაღნიშნული გამოსვლა განსაკუთრებით საყურადღებოა შეერთებული შტატების ყველაზე მძიმე ფინანსური კრიზისის ფონზე.

ოფიციალური მონაცემებით, მიმდინარე წლის ნოემბერში ამერიკაში უმუშევართა რაოდენობამ 500 ათასს მიაღია, ხოლო უმუშევრობის დონე 6.7 პროცენტამდე გაიზარდა, რაც ბოლო 15 წლის მანძილზე ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

ამერიკის სტატისტიკური ბიუროს ცნობებით, შეერთებული შტატების ეკონომიკა რეცესიას 2007 წლიდან განიცდის.

# რუსული „მატრიოშკა" ევროპული გაზის ბაზარზე

ვანიკო შამუგია

*ტრადიციული მოსაზრების თანახმად, რუსულ გაზს ევროპულ ბაზარზე დომინანტური ადგილი უკავია, ეს კი ევროპას მეტად სახიფათო მდგომარეობაში აყენებს და აიძულებს, რუსეთის წინაშე კომპრომისები საკუთარი სტრატეგიული ინტერესების ხარჯზე აკეთოს. ანალიტიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ ასეთ სიტუაციაში მოსკოვის მისამართით ანტაგონისტური პოლიტიკის გატარება ევროპის მხრიდან უპასუხისმგებლობა იქნება, თუმცა არსებობს განსხვავებული აზრიც: ევროპის გაზმომარაგება არ არის დომინირებული არც რუსეთით და არც სხვა ნებისმიერი ექსპორტიორი ქვეყნით. პრობლემა თვით ევროპაშია.*

1995 წლიდან მოყოლებული, ევროპამ გაზის იმპორტის მნიშვნელოვანი დივერსიფიცირება მოახდინა. ეს საკითხი ევროპისთვის დღეს პრიორიტეტულ თემას აღარ წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ევროპისთვის ყველაზე დიდ ექსპორტიორ ქვეყნად რჩება, სხვა სახელმწიფოებიდან გაზის იმპორტის ზრდამ ჯამში გადააჭარბა რუსეთისას. ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა ნორვეგია, ალჟირი, ნიგერია და შუა აღმოსავლეთის სახელმწიფოები, ევროპაში გაზის იმპორტზე 90-იანი წლებიდან 80-პროცენტიან ზრდას ჰქონდა ადგილი, შესაბამისად, რუსეთის წილმა ევროპის გაზის იმპორტში მნიშვნელოვნად იკლო. 1990 წელს ის 75 პროცენტს შეადგენდა, დღეს კი 40 პროცენტს შეადგენს.

ამავე დროს დივერსიფიცირება გაზის სატრა?სპორტო გზებმაც განიცადეს. 2000 წლამდე ევროპის იმპორტის უდიდესი ნაწილი მილსადენებზე მოდიოდა, ხოლო ბოლო ათწლეულის განმავლობაში ევროპა თხევადი ბუნებრვი აირის სწრაფად მზარდი ბაზრის უმთავრესი მომხმარებელი გახდა, რომლის ტრანსპორტირებაც ზღვით არის შესაძლებელი. 2002 წლიდან, ლიკვიდური ბუნებრივი გაზის ახალ მიმწოდებლებზე (ნიგერია, ეგვიპტე, ტრინიდადი და კატარი), ევროპული გაზ-იმპორტის მნიშვნელოვანი წილი მოდის.

შეხედულება, რომ ევროპა რუსულ გაზზეა დამოკიდებული, შესაძლოა, მართლაც გადაჭარბებული იყოს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ გაზმომარაგების მხრივ ყველაფერი ბრწყინვალედ არის. რუსული გაზის გამო არსებული პრობლემა იმდენად არ უკავშირდება საგარეო ენერგოპოლიტიკას, რამდენადაც თვით ევროპული გაზის ბაზრის სისტემურ თავისებურებებს. ის ძალიან არის სეგმენტიზირებული. არ არსებობს ერთიანი სისტემა. ევროკავშირში არსებულ ეროვნულ ბაზრებს შორის განსხვავება არ იძლევა გაზის მიწოდების “გადამისამართების" საშუალებას, შედეგად, რუსეთიდან მიწოდების შეჩერების შემთხვევაში (მაგალითად რუსეთ-უკრაინას შორის გაზის კრიზისის დროს 2006 წელს), ევროკავშირის ქვეყნების ნაწილი ვერ ახერხებს გაზის ალტერნატიულ მიმწოდებლებზე სწრაფ ადაპტირებას.

ინტეგრირებული და კონკურენტუნარიანი ევროპული გაზის ბაზარი ევროპელ მომხმარებლებს შორის სოლიდარობის გრძნობის მაღალ ხარისხს შექმნიდა და გაზმომარაგების შეწყვეტის საშიშროებას ეფექტურად გაუმკლავდებოდა. აქედან გამომდინარე, გაუმჯობესდებოდა კოლექტიური ენერგოუსაფრთხოებაც. თუმცა, ნაცვლად ამისა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები გამოთქვამენ უკმაყოფილებას გერმანიის, იტალიისა და საფრანგეთის პრო-რუსულობის გამო, რასაც მეტწილად “გაზპრომსა" და ამ ქვეყნების მსხვილ იმპორტიორებს შორის “სტრატეგიულ" პარტნიორობას უკავშირებენ; ამის პასუხად, ევროკავშირში მოსკოვის ე.წ. სტრატეგიული პარტნიორები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ანტირუსული დამოკიდებულების გამო უკმაყოფილებას გამოთქვამენ და ამტკიცებენ, რომ რუსეთთან კარგი ურთიერთობების ხელშეწყობა ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. შედეგად ვღებულობთ იმას, რომ ევროპულ პოლიტიკაში რუსული გაზი კვლავ მტკივნეული საკითხია.

# პაკისტანში ნატო-ს ბაზა - თავდასხმის ობიექტი

ბოევიკებმა პაკისტანში ნატო-ს ბაზაზე კვირას მასშტაბური იერიში მიიტანეს და სამხედრო ტექნიკის აღრიცხვაზე მყოფი 96 სატვირთო მანქანა გაანადგურეს. განადგურებული სატრანსპორტო ტექნიკა ავღანეთში დასავლური კოალიციური ჯარების ტრანსპორტირებისთვის იყო განკუთვნილი. მომხდარის შესახებ ინფორმაცია პაკისტანის პოლიციამ გაავრცელა.



სატვირთო-სატრანსპორტო ტერმინალზე თავდასხმა ქალაქ პეშავარის მისადგომებთან მოხდა. დაახლოებით, 200 ბოევიკისგან დაკომპლექტებულმა ჯგუფმა ობიექტის დაცვას ცეცხლი გაუხსნა. ინციდენტის დროს ერთი პაკისტანელი პოლიციელი დაიღუპა.

თავდამსხმელებმა ხელყუმბარებითა და რეაქტიული ჭურვებით მიიტანეს იერიში სატვირთო მანქანებზე, რომელთა შორის იყო მაღალი გამავლობის “ჰამვის” ტიპის სამხედრო ავტომობილები და სხვა სახის ტექნიკა.

ტექნიკის დიდი ნაწილი, საბრძოლო მასალები და სხვა ტიპის ტვირთი ავღანეთში დისლოცირებულ უცხოურ სამხედრო ძალებს პაკისტანის ტერიტორიიდან მიეწოდებათ.

ამ მარშრუტის მიმართულებით განთავსებულ ობიექტებზე ავღანელმა თალიბებმა და მათთან დაკავშირებულმა უკანასკნელ ხანს პაკისტანურმა შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა რამდენიმე თავდასხმა განახორციელეს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დამკვირვებლების აზრით, თალიბები ცდილობენ, დასავლურ ჯარებს, რომელშიც ნატო-ს ეგიდითა და საერთაშორისო კოალიციაში შეერთებული შტატების მეთაურობით მოქმედი საჯარისო შენაერთები იგულისხმება, პაკისტანიდან მომარაგების გზა გადაუჭრან.

# აიცილეთ კურსის ცვალებადობის რისკი!




# გახსენით
# კონვერტირებადი ანაბარი
# ბანკ “რესპუბლიკაში”!

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი

## თქვენი ანაბრის ვალუტის კურსი ეცემა?

**კონვერტირებადი ანაბარი გაძლევთ საშუალებას, გადაიტანოთ თქვენი დანაზოგი სხვა ვალუტაში და თანაც შეინარჩუნოთ ანაბარზე დაგროვილი სარგებელი.**

**თუ გახსნილი გაქვთ კონვერტირებადი ანაბარი ბანკ "რესპუბლიკაში":**

- ანაბარზე განთავსებულ თანხას გაანაღდებთ ნებისმიერი ვალუტით
- მიიღებთ მაღალ სარგებელს – 14%-მდე
- ხართ მსოფლიოო საბანკო ჯგუფ "სოსიეტე ჟენერალის" პატივცემული მეანაბრე

## კონვერტირებადი ანაბრის გასახსნელად ეწვიეთ ჩვენს ნებისმიერ ფილიალს:

### თბილისის ფილიალების ქსელი

| | | |
|---|---|---|
| სათავო ოფისი | გრ. აბაშიძის ქ. 2 | 925555 |
| ცენტრალური ფილიალი | გრ. აბაშიძის ქ. 2 | 925555 |
| დელისის ფილიალი | ალ. ყაზბეგის გამზ. 47 | 312161 |
| სადგურის ფილიალი | რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია | 910600 |
| დიდუბის ფილიალი | წერეთლის გამზ. 10 | 345556 |
| პეკინის ფილიალი | პეკინის გამზ. 28 | 433355 |
| გლდანის ფილიალი | ხიზანიშვილის ქ. 20 | 590550 |
| ისნის ფილიალი | ნავთლუღის ქ. 6/2 | 243737 |
| ფალიაშვილის ფილიალი | ფალიაშვილის ქ. 33ა | 912237 |
| ჭავჭავაძის 24 საათიანი ფილიალი | ჭავჭავაძის გამზ. 13 | 925555 |
| აღმაშენებლის ფილიალი | აღმაშენებლის გამზ. 112 | 243585 |
| ვაჟა - ფშაველას ფილიალი | ვაჟა - ფშაველას გამზ. 71 | 244114 |
| დიღმის ფილიალი | დიღმის მასივი, I კვარტალი, I ბ კორპუსი | 518515 |
| საბურთალოს ფილიალი | გურამიშვილის გამზ. 34 | 653515 |

### რეგიონების ფილიალების ქსელი

| | | |
|---|---|---|
| ქუთაისის ფილიალი | გრიშაშვილის ქ. 6 | 8(231) 58888 |
| ბათუმის ფილიალი | ქუთაისის ქ. 6 | (888 222) 32810 |
| ბათუმის 24 საათიანი ფილიალი | გოგებაშვილის ქ.24 | (888 222) 759 26 |
| სამტრედიის ფილიალი | რაზმაძის ქ. 2 | 8 (211) 21353 |
| ზუგდიდის ფილიალი | ზვ. გამსახურდიას გამზ. 34 | 8 (215) 50008 |
| რუსთავის ფილიალი | მეგობრობის გამზ. 20 | 8 (24) 12 55 55 |
| ფოთის ფილიალი | აღმაშენებლის ქ. 50 | 8 (293) 7 00 87 |
| თელავის ფილიალი | მარჯანიშვილის ქ. 4 | 8 (250) 70040 |
| სიღნაღის ფილიალი | თამარ მეფის ქ. 1 | 8 (255) 31037 |

**დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით 24 საათის განმავლობაში: (8 22) 92 55 55**

www.republic.ge

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი



# აფიშა

## 8 დეკემბერი

### კინო

**"ამირანი"**
"მედიატორი"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00; 20.00; 22.00
"ჯეიმს ბონდი – შეწყალების კვანტუმი"
დასაწყისი: 12.15; 14.15;
"წაიკითხე და გაანადგურე"
დასაწყისი: 18.15; 20.15;

**"რუსთაველი"**
"ჯეიმს ბონდი – შეწყალების კვანტუმი"
დასაწყისი: 14.00; 16.00; 18.00; 20.00; 22.00
"იდიოტოკრატია"
დასაწყისი: 12.30; 14.45; 17.15; 19.30; 21.30
"მედიატორი"
დასაწყისი: 13.30; 15.30; 17.30; 19.30; 21.30
"ქართული იდეა"
დასაწყისი: 12.00; 13.00;
"სასიკვდილო რბოლა"
დასაწყისი: 19.00; 21.00;
"მაქს ჰეინი"
დასაწყისი: 12.15; 14.15; 16.15; 18.15; 20.15; 22.15

### გალერეა

**ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა**
გამოფენა - "ევროკავშირთან ერთად გენდერული თანასწორობა"

**თიბისის გალერეა**
გივი თოიძის პერსონალური გამოფენა

**"ქარვასლა"**
ჰორსტ იანსენი - გრაფიკა
მაიკლ კენას ფოტოგრაფია – "ფრანგული პეიზაჟი"

**"ჰობი"**
როკო ირემაშვილის პერსონალური გამოფენა

**ეროვნული არქივის საგამოფენო დარბაზი**
დავით არსენიშვილი და სათეატრო მუზეუმი

**"ორნამენტი"**
ტიხრული მინანქრის მუდმივმოქმედი გამოფენა

**"აკადემია +"**
ნინო მაღლაკელიძის პერსონალური გამოფენა

**"ვერნისაჟი"**
თანამედროვე ქართველი მხატვრების შერეული გამოფენა

**„ბაია გალერეა"**
მაია ბარათაშვილისა და დათო კიკაბიძის გამოფენა

## პოლიციამ კარავაჯოს ტილო იპოვა

უკრაინის ყოველკვირეული გამოცემა "კვირის სარკე: იუწყება, რომ უკრაინაში პოლიციამ ოდესის დასავლეთისა და აღმოსავლეთის ხელოვნების მუზეუმიდან მოპარულ კარავაჯოს ნამუშევარს მიაგნო.

დაუდასტურებელი ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული ქურდობის ორგანიზატორი, რომლის კვალსაც დაადგნენ გამომძიებლები, რამდენიმე თვის წინათ მოკლეს.

კარავაჯოს ტილო, სახელწოდებით "ქრისტეს დაპატიმრება ან იუდას კოცნა", მუზეუმის კოლექციიდან 2008 წლის ივლისში მოიპარეს. ის ამ იტალიელი მხატვრის ერთადერთი ნამუშევარია, რომელიც უკრაინაში დაცულ კოლექციაში ინახებოდა. ნამუშევარი 100 მილიონ დოლარად არის შეფასებული. სურათის მდგომარეობის შესახებ ჯერ არაფერს იტყობინებიან.

აღსანიშნავია, რომ ტილო, რომელიც ოდესაში ინახებოდა, ერთ-ერთი ვარიანტია სურათისა, რომელიც 1598 წლით თარიღდება. გაცილებით ცნობილი ვერსია "ქრისტეს დაპატიმრებისა" 1602 წელს არის შესრულებული და დუბლინში, ირლანდიის ნაციონალურ გალერეაში ინახება. რევოლუციის შემდეგ ეს სურათი თავად ვლადიმერ ალექსანდროვიჩის კოლექციიდან ოდესის სამხატვრო სასწავლებელს გადაეცა, საიდანაც ის დასავლეთ და აღმოსავლეთის ხელოვნების მუზეუმში მოხვდა.

სურათის ორიგინალობა საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეების მიერ 1950-იან წლებში დადგინდა, ხოლო 2005 წელს ის ესპანელი ექსპერტების მიერაც დადასტურდა.

# ანტიათეული

## გამოავლინეს წლის ყველაზე ცუდი ფილმების რეიტინგი

წლის ბოლოს ხელოვნების სხვადასხვა სფერო ტრადიციულად საუკეთესო ნამუშევრებს ავლენს, თუმცა აქვეყნებენ ანტიგამოკითხვების შედეგებსაც. ამჯერად 2008 წლის ყველაზე ცუდი ფილმების ათეულს შემოგთავაზებთ, რაც მხოლოდ იმ თვალსაზრისითაა საინტერესო, რომ მაყურებელი არ წამოეგოს ამ ფილმების თვალისმომჭრელი პოსტერებისა და ტრეილერების სატყუარაზე. როგორც წესი, ამ ათეულებში რომანტიკული კომედიები ხვდება. ასე მოხდა ამჯერადაც – "სიყვარულის გურუ" ანტიათეულის პირველ ადგილზე აღნოჩნდა.



"სიყვარულის გურუ".

ფილმი ცნობილი კომიკოსის მაიკ მაიერსის მორიგი ნამუშევარია. როგორც გახსოვთ, ეს მსახიობი ჯეიმს ბონდის პაროდია "ოსტინ პაუერსის" სამ ნაწილში თამაშობს და სცენარის ავტორიც თავადაა. ასეა "სიყვარულის გურუშიც". ერთი შეხედვით ფილმი შესაძლოა სასაცილოდაც მოგეჩვენოთ, მაგრამ მთელი პრობლემა იმაშია, რომ მაიერსი ვერ ახერხებს ოსტინ პაუერსის ხასიათისგან გათავისუფლებას და პრაქტიკულად იმავე ტიპის პერსონაჟს ქმნის. ხუმრობებიც ანალოგიურია – ზედმეტად უხამსი და მხოლოდ სანახაობაზე ორიენტირებული. ფილმის ერთადერთი ღირსება მომღერალ ჯასტინ ტიმბერლეიკის მიერ შექმნილი გმირია – კვებეკელი ჰოკეისტი, რომელსაც ძალიან სასაცილო იმიჯი აქვს. ერთი სიტყვით, მაიკ მაიერსის დრო აშკარად წარსულს ჩაბარდა და ალბათ აჯობებდა, ამპლუა მეტ-ნაკლებად შეიცვალოს.

მეორე ადგილზე პარის ჰილტონის ფილმი "ლამაზმანი და მახინჯი" გავიდა. ფილმი imdb.com-ის ყველაზე ცუდი ფილმების რეიტინგშიც "ლიდერობს" და კრიტიკოსებმაც ისეთ ქარ-ცეცხლში გაატარეს, ჰილტონების დინასტია ჯერ კიდევ რომ არსებობს, პირდაპირ გასაკვირია. მსოფლიო გაქირავებაში ფილმმა მხოლოდ 1,6 მილიონი დოლარის მოგება ნახა, რაც კინოკრიტიკოსების აზრით აშკარად გადაჭარბებული მონაცემებია.

მესამეზე დაიან კიტონის, კეიტი ჰოლმისსა და ქუინ ლატიფას ფილმი "შეშლილი ფული" გავიდა. ფილმის ღირსება კი მხოლოდ მასში მონაწილე მსახიობების ხმაურიან სახელებშია. მაყურებელმა და კრიტიკამ ერთხმად აღნიშნა, რომ "შეშლილ ფულში" ერთი გასაღიმი მომენტიც კი არ არის. მეოთხე ადგილზე ასევე რომანტიკული კომედია "ერთხელ ლას ვეგასში" გავიდა. მასში კამერონ დიასი და ეშტონ კეჩერი თამაშობენ. ფილმი ორი ერთმანეთის მოძულე ადამიანის ურთიერთობაზეა, რომლებიც საბოლოოდ შეყვარებულები ხდებიან და ქორწინდებიან კიდეც. შეიძლება ითქვას, რომ ფილმი მეორეხარისხოვანი პერსონაჟების მხრეზე დგას, მთავარი გმირების მეგობრები გაცილებით საინტერესონი და სასაცილოები არიან.

შემდეგი ადგილი რონალდ ემერიჰის ბლოკბასტერად ჩაფიქრებულმა ფილმმა "10 000 წელი ჩვენს ერამდე" დაიკავა. ამ ფილმში თითქოს ყველაფერია იმისთვის, რომ იგი მაყურებელს მოეწონოს: სპეცეფექტები, დეკორაციები, ექშენი და სასიყვარულო ხაზი, მაგრამ არ არის მთავარი – მასში ვერაფერს ნახავთ, რაც კინოთეატრიდან გამოსვლის შემდეგ დაგამახსოვრდებათ და მეგობრებთან ერთად განხილვას დაიწყებთ. ფილმი უფრო იმიტომაც ჩავარდა, რომ მისი რეჟისორი სწორედ რონალდ ემერიჰი იყო. იგი "დამოუკიდებლობის დღისა" და "გოძილას" რეჟისორია, ამიტომ მისგან გაცილებით მეტს მოელიან.

ათეულში ადგილი გამოიძებნა ფრანგი მსახიობის, მეტიუ კასოვიცის ფუტურისტული დრამის "ჩვენი დროის ბაბილონისთვისაც". ფილმის გადარჩენა ვერც მასში მონაწილე ვარსკვლავებმა ჟერარ დეპარდიემ, მიშელ იეომ, ვინ დიზელმა და შარლოტა რემპლინგმა შეძლეს და "ჩვენი დროის ბაბილონი" მეექვსე ადგილისთვის გაწირეს. მაყურებელს და კრიტიკას ასევე არ მოეწონა ადამ სენდლერის მორიგი მსუბუქი კომედია "ნუ ეხუმრებით ზოჰანს". ფილმი სასაცილოა, მაგრამ ძალიან მოსაბეზრებელია ადამ სენდლერის ერთსა და იმავე როლში ნახვა. ალბათ დროა, სენდლერი გაიზარდოს და ამპლუა მაიერსის მსგავსად რადიკალურად შეიცვალოს. მით უმეტეს, რომ მას დრამატული როლების შესრულებაც შეუძლია (ამის დასტურად ნახეთ პოლ ტომას ანდერსონის "გამაოგნებელი სიყვარული").

მერვე ადგილზე სილვესტერ სტალონეს რეჟისურითა და მონაწილეობით გადაღებული "რემბო 4" გავიდა. ფილმს საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვს, რაც ალბათ წინამორბედი ფილმების დამსახურება უფროა. თუმცა სანახაობრივად არც თუ ცუდია, მით უმეტეს ბოლო 15 წუთი, როდესაც ჯონ რემბო სისხლის მდინარეებს აყენებს და კლავს ყველას, ვინც გზაზე გადაეღობება. ანტიათეულის ბოლო ადგილზე დრიუ ბერიმორის ფილმი "ჩიხუახუა ბევერლი ჰილსიდან" გავიდა. ფილმი იმდენად სულელური და უინტერესოა, რომ მასზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ.


## ნეტარ არიან მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ



სამთავროს დედათა მონასტერში, ბერი გაბრიელის საფლავზე ღვთის სასწაულით ფეხადგმული ჯაბა მურცხავლაძე ელის თქვენგან თანადგომას.

ჯაბასთვის თითო ლარი შეგიძლიათ გაიღოთ მაგთისა (200-344), ჯეოსელის (700-344), გაერთიანებული ტელეკომის (919-344) და საქართველოს ტელეკომის (822 009-344) სატელეფონო ნომრებზე დარეკვით

დამატებითი ინფორმაციისათვის: ქობულეთი, ციხისძირი
893 906-275

საქველმოქმედო სპეც-ანგარიში: "თი-ბი-სი" ბანკის ცენტრალური ფილიალი კოდი: 220101830; ა/ა 11701022

# ვინ უღალატა გაუდის?

## ესპანეთის ინტელიგენცია საგრადა ფამილიას ტაძრის მშენებლობის დასრულებას ეწინააღმდეგება



ესპანეთის კულტურის 400-ზე მეტი წარმომადგენელი, რომელთა შორის არიან: წამყვანი არქიტექტორები, რეჟისორები და გალერისტები, ბარსელონაში, ანტონიუ გაუდის არქიტექტურულ შედევრად მიჩნეულ საგრადა ფამილიას ტაძრის სამშენებლო სამუშაოების შეჩერებას მოითხოვენ. ამის შესახებ "Times Online"-ი იუწყება. კულტურის სფეროს წარმომადგენელთა აზრით, მშენებლებმა "გაუდის სულს უღალატეს".

ისინი, ვინც მანიფესტს მოაწერა ხელი, აცხადებენ, რომ უდიდესი არქიტექტორის ქმნილება დაუდევარი და უხეირო რესტავრაციის მსხვერპლი გახდა. მადრიდის მუზეუმის - "Reina Sofia" დირექტორმა მანუელ ბორჯა-ვილერმამ გამომცემლობას "Times Online" განუცხადა, რომ ამჯერად კომპლექსი "გაუდის ქმნილების კარიკატურასლა" წარმოადგენს. მანიფესტის დანარჩენი ხელმომწერები კი, ძეგლთან დაკავშირებით მომხდარს "პროფანაციად" და ბარსელონის "კულტურილი მემკვიდრეობის განადგურებად" აფასებენ, თანაც ტურისტული ინდუსტრიის საზიანოდ.

წმინდა ოჯახისადმი მიძღვნილი ტაძრის მშენებლობა 1882 წელს დაიწყო. 1891 წელს მშენებლობის მთავარი არქოტექტორი ანტონიო გაუდი გახდა. 1926 წელს კი, მისი გარდაცვალების შემდეგ, მშენებლობის დასამთავრებელი სამუშაოები ხან გრძელდებოდა, ხანაც წლობით იყო შეჩერებული.

90-იანი წლების შუახანებში, დაუმთავრებელი ტაძარი ცხარე კამათის საგანი გახდა. არქიტექტორებისა და ქალაქმშენებლების ჯგუფი სამუშაოების შეჩერებას ითხოვდა. თუმცა, პროექტზე მუშაობა მაინც გრძელდებოდა. მშენებლობის დასრულება 2026 წელს, ავტორის გარდაცვალებიდან მეასე წლისთავზე იგეგმება.

მსოფლიოში უდიდესი არქიტექორის ჩანაფიქრის განხორციელების სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ გაუდი მოსალოდნელი სამუშაოების გეგმას არ ადგენდა, ის იმპროვიზაციით იყო გატაცებული და მშენებლობის პროცესში უამრავი ცვლილება შეჰქონდა. ამისათვის მას ტაძრის ერთ ოთახში დასახლებაც კი მოუწია.

ანტონიუ გაუდი საგრადა ფამილიასთან ახლოს, უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა. არქიტექტორი დაუსრულებელი ტაძრის საძვალეში დაკრძალეს.

# რომან პოლანსკი ბრალდების მოხსნას ითხოვს



ცნობილმა კინორეჟისორმა რომან პოლანსკიმ ლოს-ანჯელესის სასამართლოს ოფოციალური მოთხოვნა გაუგზავნა, რომელშიც ითხოვს 30 წლის წინათ წაყენებული არასრულწლოვან გოგონასთან ინტიმური კავშირის დამყარების ბრალდება მოუხსნან.

1978 წელს, პოლანსკიმ აშშ იმის გამო დატოვა, რომ თავი ციხეში 13 წლის სკოლის მოსწავლე ფოტომოდელთან სიახლოვისათვის არ ამოეყო. რეჟისორმა არასრულწლოვანთან კავშირში ჩადენილი დანაშაული აღიარა, რის შემდეგაც პროკურატურის მიერ მის მიმართ წაყენებული დანარჩენი ხუთი ბრალდება, მათ შორის გაუპატიურებაც, გადაიდო.

მას შემდეგ, რაც პოლანსკი აშშ-დან მოულოდნელად გაემგზავრა, მოსამართლემ ხელი მისი დაპატიმრების ორდერს მოაწერა, რომელიც დღემდე ძალაშია. სწორედ ამიტომაც არ შეუძლია საფრანგეთში მცხოვრებ 75 წლის რეჟისორს ამერიკაში ჩასვლა. ექსტრადიციის შესაძლებლობის მიზეზით, კინორეჟისორი ვიზიტებს დიდ ბრიტანეთშიც გაურბის.

75 წლის პოლანსკის ადვიკატები აღნიშნავენ, რომ მის მიმართ წაყენებული ბრალდებები დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს, რადგანაც საქმე ახალ გარემოებებთან გვაქვს, რომელთა შესახებ დოკუმენტური ფილმიდან - "რომან პოლანსკი: მოსაძებნი და სასურველი" გახდა ცნობილი. ეს ფილმი წლევანდელი კანის კინოფესტივალზე იყო წარდგენილი.

იურისტების აზრით, ფილმი შეიცავს მტკიცებულებებს, რომლებიც პროკურატურასა და პოლანსკის საქმის განმხილველ მოსამართლეს შორის ინფორმაციის არასწორ გაცვლას უკავშირდება.

ფილმში ნაჩვენებია პოლანსკის პროცესის ნაწყვეტი, რომელშიც, ავტორთა აზრით, წესრიგის დაცვისა და საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებისკენ სწრაფვამ სამართლიანობის აღდგენის სურვილი, როგორც ჩანს, მთლიანად დაჩრდილა.

1917 წელს პოლანსკიმ დაზარალებული გოგონას ოჯახთან შეთანხმებას მიაღწია და მას კომპენსაცია გადაუხადა. თუმცა, ეს საქმე მაინც არ დახურეს, რადგან ახალმა მოსამართლემ პოლანსკის მისთვის ყველა ბრალდების მოხსნა შესთავაზა, თუ რეჟისორი სასამართლო პროცესის პირდაპირი ეთერით ჩვენებას დათანხმდებოდა, რაზეც პოლანსკიმ უარი განაცხადა.

პოლანსკიმ, რომელიც კომუნისტური პოლონეთიდან 1960-იანი წლების დასაწყისში იყო ემიგრირებული, არაერთი ფილმი გადაიღო, რომლებიც მთელ მსოფლიოში წარმატებით სარგებლობდა. მას პირველი დიდი აღიარება 1968 წელს გადაღებულმა ფილმმა - "როზმარის ბავშვი" მოუტანა.

1969 წელს პოლანსკის ფეხმძიმე ცოლი, შარონ ტეიტი და მისი სამი მეგობარი ჩარლს მენსონის დაჯგუფების წევრებმა მოკლეს. ამ ტრაგედიის შემდეგ ღრმად შეძრული რეჟისორი ევროპაში გადასახლდა და ფილმების გადაღება იქ განაგრძო.

1974 წელს ის დაბრუნდა აშშ-ში და შექმნა ფილმი - "ჩინური კვარტალი" ("China Town"), რომელშიც მთავარ როლს ჯეკ ნიკოლსონი ასრულებს.

მის მიერ ბოლო პერიოდში გადაღებული ფილმებიდან ყველაზე ცნობილია "პიანისტი" (2002 წ.), რისთვისაც მას, როგორც წლის საუკეთესო რეჟისორს, "ოსკარი" მიენიჭა, თუმცა მის მიმართ აშშ-ში წაყენებული ბრალდების გამო პოლანსკი ამერიკული კინოაკადემიის დაჯილდოების ცერემონიალს არ ესწრებოდა. ჯილდო მან, მხოლოდ, ნახევარი წლის შემდეგ მიიღო.

---

GEORGIAN NATIONAL MUSEUM

ყოველ ორშაბათს საქართველოს ეროვნული მუზეუმი და გაზეთი "24 საათი" წარმოგიდგენთ პროექტს, რომელიც ეროვნულ მუზეუმში გაერთიანებული სხვადასხვა მუზეუმის გამორჩეული ექსპონატების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

## ზიარების ბარძიმი



საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში დაცულ ექსპონატთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბედიის ზიარების ბარძიმი გახლავთ.

ბედიის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიიდან 999 წლით დათარიღებული ოქროს ბარძიმი 1930 წლამდე ილორის მონასტერში ინახებოდა.

შემორჩენილია ზედა ნაწილი. ფსკერი და ფეხი აკლია. ბარძიმს პირის კიდეზე ქართული ასომთავრულით შესრულებული საქტიტორო წარწერა შემოუყვება: "წმიდაო ღმრთისმშობელო მეოხ ეყავ წინაშე ძისა შენისა ბაგრატ აფხაზთა მეფესა და დედასა მატს გურანდუხტ დედოფალსა ამის ბარძიმის შემწირველთა ამის საკურთხევლისა შემამკობელთა და ამის წმიდისა საყდრისა აღმშენებელთა ამინ".

საქტიტორო წარწერაში მოხსენიებულია საქართველოს გამაერთიანებელი მეფე ბაგრატ მესამე (975-1014) და დედამისი დედოფალი გურანდუხტი, როგორც ბედიის ტაძრის აღმშენებელნი, მისი საკურთხევლის შემამკობელნი და ამ ბარძიმის შემწირველნი. ქართლის ცხოვრებაში მემატიანე ბაგრატ მესამის მეფობის ბრწყინვალებას ბედიის ტაძრის სამკაულით განსაზღვრავს: "უკუეთო ვისმე ენებოს განცდად და გულისხმის ყოფად სიმაღლისათვის დიდებისა მეფობისა მისისა, პირველად განიცადოს სამკაული ბედიის ეკლესიისა". აღნიშნული სამკაულიდან მხოლოდ ეს ბარძიმი გადარჩა.

სფერული ფორმის ბარძიმის ზედაპირი თაღედით თორმეტ ნაწილადაა დაყოფილი. თითოეულში თითო ფრონტალური ფიგურაა განაწილებული. კომპოზიცია აგებულია ორ აქცენტზე - ერთმანეთის საწინააღმდეგო მხარეს წარმოდგენილ მაცხოვრისა და ღვთისმშობელი ოდიგიტრიის მჯდომარე ფიგურებზე. მათ შორის გამოსახულნი არიან ფეხზე მდგომი მოციქულები და მახარებლები. ერთ მხარეს: იოანე, ანდრია, ლუკა, მარკოზ, პავლე. მეორე მხარეს: პეტრე, ლებეოზ, თადეოზ, ბართლომე, იაკობ. მჯდომარე და ფეხზე მდგომი ფიგურები ერთ სიმაღლეზეა განაწილებული. "თავნი მოციქულთა" პეტრე და პავლე ღვთისმშობლის ორივე მხარეს გამოისახებიან. საქტიტორო წარწერა მაცხოვრის გვერდითი ფიგურიდან იწყება. მაგრამ მიმართვა ღვთისმშობლისადმია. რაც დედა ღმრთისას ფიგურას მაცხოვრის გამოსახულების დონეზე აყენებს.

ბარძიმში მკაფიოდ აისახა ეპოქის მხატვრული ამოცანები. ოსტატი მიზანდასახულად უსვამს ხაზს ადამიანის პლასტიკურ ფორმებს. რელიეფურადაა გადმოცემული სხეულის მხოლოდ ზედა მონაკვეთები, სადაც მკაფიოდ იკითხება ნახევარწრიულად ამოზიდული თავები. გამოსახულების ქვედა ნაწილი შედარებით დაბალ რელიეფშია წარმოდგენილი. სტატიკური ფიგურები მოკლებულია თანაბარ პროპორციებს.

დაზიანებული ბარძიმისათვის XVI საუკუნეში ბედიელ მიტროპოლიტ გერმანე ჩხეტიძეს ფეხი განუახლებია, რომელიც 1865 წელს დიმიტრი ბაქარძეს უნახავს. მასზე განაწილებული იყო განახლების მაუწყებელი ქართული საქტიტორო წარწერა: "ყოვლადწმიდაო დედოფალო ვლაქერნისა ღვთისმშობლისა, შემიწყალე მე ბედიელ მიტროპოლიტი გერმანე ჩხეტიძე, რომელი ღირს ვიქმენ კადრებად შემკობად ფეხისა წმინდისა ამის ბარძიმისა". კვლევარის დაკვირვებით გერმანე ჩხეტიძე, ისე როგორც მისი გვარის ის წარმომადგენლები, რომლებიც ქუთაისის, ხონისა და ნიკორწმინდის მონასტრების წინამძღვრები იყვნენ და აგრეთვე აფხაზთა კათალისკოსიც (XVIს).

გერმანე ჩხეტიძე გარდაიცვალა 1529 წელს. ბედიის მონასტრის XVI საუკუნის გულანზე დაცულია მინაწერი: "ბედიელ გერმანე ჩხეტიძე". მოგვიანებით კი 1883 წელს დიმიტრი ბაქარძეს ილორში ბარძიმი უკვე ფეხდაკარგული დახვდა.

*ელენე კავლელაშვილი*
*საქართველოს ეროვნული მუზეუმი*

# იუბილარი რეჟისორი

## ეძღვნება კარლო ღლონტის 80 წლის იუბილეს

რამდენიმე ხნის წინ ქართველ კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითმა კავშირმა ქართულ საზოგადოებასთან ერთად 80 წლის იუბილე გადაუხადა ცნობილ ქართველ კინორეჟისორს, საქართველოს დამსახურებულ მოღვაწეს, ღირსების ორდენის კავალერს, ბატონ კარლო ღლონტს. შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წელი მან ღმერთისა და მოყვასის სიყვარულს მიუძღვნა.

მახსოვს, 1984 წელს კინოექსპედიცია კარლო ღლონტის ხელმძღვანელობით გაემგზავრა ბულგარეთს. ჩვენს ისტორიოგრაფიაში იმთავითვე კარგად იყო ცნობილი ქართული შუასაუკუნეების კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზღვარგარეთული ცენტრი პეტრიწონის (დღეს ბაჩკოვო) მონასტერი.



კარლო ღლონტი.



პეტრიწონის მონასტერი.

ბატონმა კარლომ ზედმიწევნით კარგად შეასრულა საპატრიარქოს თხოვნა და ყველაფერი ზუსტად გადაიღო: გრიგოლ ბაკურიანის ძის საძვალე, წმ. მარიამის ხატი, ქართული ხატი, გრიგოლისეული ჯვარი, "ძლევაი" (მეცნიერები: ელკა ბაკალოვა, აკადემიკოსი ივან დუიჩევი). მაშინ ექსპედიციამ მხოლოდ ორი კვირა იმუშავა.

ბატონი კარლოს კინოექსპედიციის მეორედ ჩასვლა ბულგარეთში, კერძოდ, ქ. პროვოდიეში, სადაც ქართველი ბერები მოღვაწეობდნენ და იქ გადაღებული ახალი ეპიზოდები მაყურებლისათვის აღმოჩენა იყო. კერძოდ, ბერების სადგომ გამოქვაბულში უცნობი ქართული წარწერები აღმოჩნდა: "უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, შეგვიწყალენ ჩვენ", "ესე წმიდანი მოციქულნი არიან", "წმიდაო გიორგი".

გადაღებულ იქნა ბულგარელი აკადემიკოსის ი. დუიჩევის მიერ მითითებული "როჟენის მონასტერი". ხანძრის შემდეგ მონასტრის აღდგენაზე ივერონის მთამ იზრუნა. იქაურმა ბერებმა ხელახლა ააშენეს მონასტერი და გამოგზავნეს სასულიერო ნივთები, რომელთა შორის მნიშვნელოვანია ღვთისმშობლის ხატი წარწერით: "ხატი მოხატეს ივერონელმა ბერებმა".

მიუხედავად იმისა, რომ სოფიაში ყოფნის დროს საჯარო ბიბლიოთეკაში მიაკვლიეს გრიგოლისეულ ტიპიკონს, გული ეთანაღრებოდათ, რომ ეს გრიგოლ ბაკურიანის ძის შედგენილი სამონასტრო წესდება არ იყო. გადაწყვიტეს რამდენიმე ხნის შემდეგ გამგზავრებულიყვნენ საბერძნეთის კუნძულ ქიოსზე, კორაისის სახელობის ბიბლიოთეკაში, მოეძიათ და გადაეღოთ ფირზე ქართულ და ბერძნულ ენებზე XIII საუკუნის უძველესი გრიგოლისეული ტიპიკონი. ეს, რასაკვირველია, ძიების კიდევ ერთი გამარჯვება იყო.

მოულოდნელობა გახლდათ კინოექსპედიციის გამგზავრება სინას მთაზე და წმინდა ეკატერინეს სავანის მონახულება. ეს პირველი კინოექსპედიციაა, რომელიც საქართველოდან გაემგზავრა და კარლო ღლონტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისიც გამარჯვებით დამთავრდა.

სინას მონასტერი მთელ მსოფლიოში განთქმულ უნიკალურ ხატთა კოლექციას ფლობს. კარლო ღლონტის ფილმში გადაღებული მასალა ჩვენი საზოგადოებისათვის სრულიად უცნობია: ძველი ქართული ხელნაწერების ფურცლები, განსაკუთრებით ფერწერული ხატები ქართული წარწერით, აგრეთვე 4 კალენდარული ხატი, სამ-სამი თვის წმინდანთა გამოსახულებით მთელი წლის წმინდა დღესასწაულებს ასურათებენ. მათზე ორენოვანი წარწერებია. ე.წ. სინგურით შესრულებული ქართული, ლამაზი, ნუსხახუცურით, თავისი პალეოგრაფიული ნიშნებით XI საუკუნის შუა წლებს არ სცდებიან. ყველა მათგანის მომხატველი ვინმე იოანე ბერი ჩანს, მაგრამ ვინ იყო ეს, ჯერ კიდევ უცნობი რჩება.

ამ ხატებს შორის უძველესად ითვლება ხატი წმინდა გიორგის და ქართველთა მეფის გამოსახულებით. ფიგურათა შორის არის წარწერა: "მეფე ქართველთა და რანთა". ვარაუდობენ, რომ აქ დავით აღმაშენებელი უნდა იყოს გამოსახული.

უაღრესად საინტერესოა და ნიშანდობლივი კარლო ღლონტის ფილმში "გუმისთიდან ოჩამჩირემდე" სოფელ კამანში გადაღებული ეპიზოდი იური ანუასთან, რომელიც აცხადებს: "მე გახლავართ იური ანუა, აფხაზი. ქართველი აფხაზი. ჩემი წინაპრები მართლმადიდებლები იყვნენ. მეც ქრისტიანი ვარ. ამ ეკლესიას რომ ხედავთ, მხოლოდ ნანგრევები იყო. გადავწყვიტე აღმედგინა. უნეტარესის და უწმინდესის დახმარებით ავაშენეთ და რესტავრირებულია".

გავიდა დრო. თბილისში ერთ-ერთ პანაშვიდზე კარლო ღლონტი ხვდება ბატონ ანუას მეუღლეს, რომელმაც უამბო, რომ სოფელი კამანი სეპარატისტებს აუღიათ. ანუა და მრევლი ეკლესიაში შეურეკიათ. რამდენიმე დღის შემდეგ ანუა და რამდენიმე კაცი ეკლესიის კედელთან დაუყენებიათ და დაუხვრეტიათ. ანუას მეუღლე თბილისში სიონის ეკლესიაში მონაზვნად აღიკვეცა.

დასასრულ არ შემიძლია არ შევეხო ბატონი კარლოს ბოლო ფილმს "ფრანგმენტები ტაო-კლარჯეთის ისტორიიდან", რომლის ყველა კომპონენტი მაღალ პროფესიონალურ დონეზეა შესრულებული და რომელმაც მაყურებლის დიდი მოწონების გარდა, გამარჯვება მოუტანა ფილმის რეჟისორებს კარლო ღლონტს და ლევან ღლონტს – წმინდა ანდრიას ჯვარი.

*დავით მუსხელიშვილი*
*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი*


## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ტემპუსის პროექტის" ფარგლებში აცხადებს ხელახალ ტენდერს ლაბორატორიული აღჭურვილობის შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტის ჩამონათვალი:

**ლოტი N1**

1. **ანალიზური სასწორი - 1 ცალი**
2. **ელექტრული სასწორი - 1 ცალი**
3. **pH მეტრი - 2 ცალი**
4. **CO2 ინკუბატორი - 1 ცალი**
5. **წყლის აბაზანა შეიკერი - 1 ცალი**

**ლოტი N2**

1. **ვორტექს-სანჯღრეველა - 2 ცალი**
2. **თერმოციკლერი - 1 ცალი**
3. **ტრანსილუმინატორი - 1 ცალი**
4. **მშრალბლოკიანი გამახურებელი - 1 ცალი**
5. **გელ-ელექტროფორეზის სისტემა ჰორიზონტალური - 1 ცალი**
6. **ორმაგი გელ-ელექტროფორეზის სისტემა - 1 ცალი**
7. **ელექტრობლოტერი - 1 ცალი**
8. **დენის გარდამქმნელი - 1 ცალი**
9. **მინიმაგნიტური სარეველა, გამახურებლით - 1 ცალი**

**ლოტი N3 - LCD პროექტორი - 2 ცალი**

შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაცია და პარამეტრები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

(ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში. გამოცხადებული ტენდერის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www. tsu.ge).

**3. აღჭურვილობის მიწოდების ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 28 თებერვლამდე, აწყობა-სწავლება-ინსტალაცია - 4 მარტამდე.**

**მიწოდების ადგილი: ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ I კორპუსი.**

მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს (ISO სერთიფიკატი).

4. სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2008 წლის 29 დეკემბრის 17.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამ.N1, თსუ-ს I-ლი კორპუსი, I სართული, შესყიდვების განყოფილება, ოთახი N215. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებლი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: კ/ბ რესპუბლიკა", ანგ.ანგ.N345634, ბანკის კოდი 220101757, საიდენტიფიკაციო კოდი 204864548. **მიმღები: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

5. პრეტენდენტებმა სატენდერო კომისიას საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოუდგინონ დახურული კონვერტებით 2008 წლის 30 დეკემბრის 10.00 საათიდან 14 საათამდე, შემდეგ მისამართზე:... ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.N1, თსუ-ს I-ლი კორპუსი, I სართული, შესყიდვების განყოფილება, ოთახი N215. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე 2008 წლის 30 დეკემბრის 14 საათზე. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. **იურიდიული პირებისათვის**:

1. ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, მის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.
2. ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და რეაბილიტაციის საქმის წარმოება.
3. ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.

**6.2. ფიზიკური პირებისათვის:**

**1.** ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.
**2.** ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**6.3. როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:**

1. ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ.
2. ინფორმაცია პრეტენდენტის დასახელების, იურიდიული და ფაქტიური მისამართის, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტების, ხელმძღვანელის სახელი, გვარის შესახებ.

7. ტენდერში გამარჯვებული გამოვლინდება ლოტების მიხედვით.

8. ტენდერში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების მიზნით გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მექანიზმი (ფორმით საბანკო გარანტია), ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით.

9. სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად გამოიყენება საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

10. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სატენდერო კომისიის აპარატში, ტელ. 22 78 62, 877 59 58 39. მისამართი: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.N1, თსუ-ს I-ლი კორპუსი, ოთახი N215.

სატენდერო კომისია

# სპორტი

## ქალაქური საქმე

### "ვიტ ჯორჯია" და "დინამო" დაწინაურდნენ

მიხეილ აბაიშვილი

დედაქალაქური გუნდები - "ვიტ ჯორჯია" და "დინამო" თანდათან შორდებიან მდევრებს. მე-14 ტურის შემდეგ, რომელშიც ამ გუნდებმა 3-3 ქულა მიითვალეს, უახლოესმა კონკურენტმა "ზესტაფონმა" ქულები დაკარგა. თუ "ზესტაფონმა" კვლავ ინერტულად განაგრძო ასპარეზობა, შეიძლება "ვიტ ჯორჯიამ" და "დინამომ" ოქროს მედლებისათვის ბრძოლა საშინაო, ასე ვთქვათ, ქალაქურ საქმედ აქციონ.

ტურის ცენტრალური მატჩი (ცენტრალური - როგორც სატურნირო თვალსაზრისით, ისე სანახაობრივად და დაძაბულობის ხარისხით) ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართა. "დინამომ" თანაქალაქელ "ლოკომოტივს" უმასპინძლა. ამ გუნდების დაპირისპირებას ინტერესს ისიც მატებდა, რომ პირველ წრეში "ლოკომოტივმა" მტკივნეული მარცხი მიაყენა რაინერ ცობელის გუნდს. სწორედ ამ წაგების გამო "დინამომ" ჯერ კიდევ ვერ გამოასწორა სატურნირო მდგომარეობა და, ზედიზედ ხუთი გამარჯვების მიუხედავად, სატურნირო ცხრილის პირველ საფეხურზე ჯერ კიდევ ვერ ავიდა. თუმცა, თავად თამაშის ხარისხი, რომლის დემონსტრირებასაც გერმანელი სპეციალისტის მიერ დამოძღვრილი "დინამო" აჩვენებს, გუნდს და მის გულშემატკივრებს ჩემპიონის ტიტულის დაცვის საფუძვლიან იმედს უჩენს.

მატჩი, განსაკუთრებით მისი მეორე ტაიმი, საინტერესო და დაძაბული გამოდგა. პირველ ნახევარშიც არაერთი სახიფათო მომენტი შეიქმნა როგორც ერთ, ისე მეორე კართან, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში ხან თავდამსხმელები სცოდავდნენ, ხან მეკარეები თამაშობდნენ დამაჯერებლად. მატჩის ძირითადი მოვლენები შესვენების შემდეგ განვითარდა. ჯერ სტუმრებმა გაიტანეს გოლი: 65-ე წუთზე "ლოკომოტივის" კაპიტანმა ლევან ცქიტიშვილმა დაახლოებით 27 მეტრიდან ზუსტად დაარტყა ოვონოს კარში. "დინამოს" ცენტრიდან მოუხდა თამაშის განახლება. დრო კი იყო დარჩენილი, მაგრამ "დინამოს" საყაიმო შედეგიც არ აძლევდა ხელს. ამიტომ ცობელი ვაბანკზე წავიდა - შუა ხაზიდან ნახევარმცველი გველესიანი მოხსნა და მის ნაცვლად ჩერნოგორიელი თავდამსხმელი სპასოევიჩი შეიყვანა. როგორც მერე გაირკვა, ეს ცვლილება გადამწყვეტი აღმოჩნდა მატჩის ბედის განსაზღვრისთვის. 72-ე წუთზე ჯერ მერებაშვილის დარტყმის შემდეგ ლომაიას მოგერიებული მიუვიდა ვაწაძეს, რომელმაც გაათანაბრა ანგარიში. 81-ე წუთზე კი ილია სპასოევიჩმა "ლოკომოტივის" საჯარიმო მოედანში ბრწყინვალედ დაიმორჩილა ბურთი, მცველი მოატყუა და ახლო მანძილიდან შანსი არ დაუტოვა საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე ლომაიას. დარჩენილი დრო სტუმართათვის საკმარისი არ აღმოჩნდა სტატუს კვოს აღსადგენად და მატჩი დასრულდა "დინამოს" გამარჯვებით - 2:1.



"ვიტ ჯორჯიამ" "სპარტაკი" დაამარცხა და ლიდერობა შეინარჩუნა.

წარმატების მიღწევა გაუჭირდა გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს. "ვიტ ჯორჯია" გამოკვეთილ აუტსაიდერს, ცხინვალის "სპარტაკს" მასპინძლობდა. ამ ორ გუნდს შორის არსებული სატურნირო უფსკრულის მიუხედავად, მატჩი მაინც დაძაბულად წარიმართა. ბოლო წუთებამდე ლიდერი ერთგოლიანი უპირატესობით იგებდა და ზედ ბოლო წუთზე შეძლო კიდევ ერთი გოლის გატანა - 2:0.

მოულოდნელი შედეგი აღინიშნა ახალციხეში, სადაც ადგილობრივმა "მესხეთმა" საქართველოს თასის ჯერ კიდევ მოქმედ მფლობელს "ზესტაფონს" (იმერლები მეოთხედფინალურ ეტაპზე გამოეთიშნენ თასისთვის ბრძოლას) უმასპინძლა. "მესხეთი" თანდათან ყალიბდება "ზესტაფონისთვის" უხერხულ მეტოქედ, რაც პირველ წრეშიც ნათლად გამოჩნდა. მაშინ ახალციხელებმა სტუმრად პირველი წრის ერთ-ერთი ყველაზე მყვირალა სენსაცია მოახდინეს, როცა თემურ მახარაძის გუნდი - 1:0 დაამარცხეს. მას შემდეგ "ზესტაფონს" მწვრთნელიც გამოეცვალა. მახარაძის ნაცვლად ამ პოსტზე გია გეგუჩაძე დაინიშნა. მთავარი მწვრთნელის რანგში დებიუტი წარმატებული ვერ გამოდგა: მართალია, "ზესტაფონმა" საკუთარი კარი "მშრალად" შეინახა, მაგრამ ვერც თვითონ გაიტანა გოლი. "ზესტაფონმა" მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა და "დინამოსთან" ჩამორჩენა 4 ქულამდე გაზარდა. პირველად ბოლო სამი წლის განმავლობაში, "ზესტაფონმა" მთელი მატჩი ისე ჩაატარა, რომ მის რიგებში ერთი ლეგიონერიც კი არ გამოჩენილა.

**მე-14 ტური**

მგლები - გაგრა ............. 1:0
სიონი - ბორჯომი ............ 2:1
მესხეთი - ზესტაფონი ........ 0:0
დინამო - ლოკომოტივი ...... 2:1
ვიტ ჯორჯია - სპარტაკი ..... 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 13 | 9 | 3 | 1 | 25:8 | 30 |
| დინამო | 13 | 9 | 1 | 3 | 28:11 | 28 |
| ზესტაფონი | 13 | 7 | 3 | 3 | 14:7 | 24 |
| ლოკომოტივი | 12 | 6 | 0 | 6 | 16:14 | 18 |
| ოლიმპი | 12 | 4 | 6 | 2 | 12:7 | 18 |
| სიონი | 13 | 4 | 6 | 3 | 13:10 | 18 |
| მგლები | 13 | 5 | 2 | 6 | 15:16 | 17 |
| მესხეთი | 13 | 4 | 4 | 5 | 12:17 | 16 |
| გაგრა | 13 | 3 | 2 | 9 | 10:23 | 11 |
| ბორჯომი | 13 | 2 | 5 | 6 | 14:27 | 11 |
| სპარტაკი | 12 | 1 | 0 | 11 | 6:25 | 3 |

## ზაზა ფაჩულიას სეზონის პირველი ორმაგი დუბლი!



ფაჩულია ნოვიცკის შეჩერებას ცდილობს.

გასულ უქმეებზე NBA-ს რეგულარულ ჩემპიონატში "ატლანტა ჰოუქსმა" ორი მატჩი გამართა და ჩვენთვის ერთი სასიამოვნო ფაქტი აღინიშნა. "დალასთან" წაგებულ შეხვედრაში ფაჩულიამ სეზონში პირველი ორმაგი დუბლი შეასრულა.

თუმცა სანამ "ქორები" დირკ ნოვიცკისა და მისი თანაგუნდელების წინაშე წარდგებოდნენ, "ნიუ იორკს" უმასპინძლეს და ანგარიშით 98:95 დაამარცხეს. ამ მატჩში ზაზამ მხოლოდ 12 წუთი ითამაშა და სულ ორი ქულით შემოიფარგლა.

გუშინ, გამთენიისას, ზაზა ფაჩულიას "ატლანტა ჰოუქსმა" დირკ ნოვიცკის "დალასთან" 98:100 წააგო. ქართველმა ცენტრმა კი მიმდინარე სეზონის პირველი ორმაგი დუბლი მოიხვეჭა.

ფაჩულიას ადგილი ხუთეულში ატლანტელთა ცენტრის ალ ჰორფორდის მცირე ტრავმამ განაპირობა. ჰორფორდმა "დალასთან" მატჩი სათადარიგოთა სკამზე გაატარა, მისმა ქართველმა შემცვლელმა კი ორმაგი დუბლი გაახერხა და ბოლო წამზე ჯოსე ხუან ბარეას ბურთი რომ არ ჩაეგდო, მატჩი დამატებით დროში გადავიდოდა.

ზაზამ მოედანზე 35 წუთი გაატარა და 13 ქულას 12 მოხსნაც მიაყოლა. მან ასევე მოაგროვა 2 ჩაჭრა და 2 დაფარება, ხოლო ბურთი ერთხელ დაკარგა და ამდენივე შედეგიანი გადაცემა განახორციელა. ფაჩულიამ ჩააგდო 7-დან 4 ორქულიანი, ხოლო საჯარიმოს ხაზიდან შეუმცდარი იყო – 5-დან ყველა გამოიყენა.

ამ მარცხმა ატლანტელებს სატურნირო თვალსაზრისით ვერაფერი აზარალა. მაიკ ვუდსონის გუნდი კვლავ მეორე ადგილზეა თავის დივიზიონში, ხოლო აღმოსავლეთ კონფერენციაში - მეოთხეზე.

წარმატებული გამოდგა გასული უქმეები ევროპაში მოასპარეზე ქართველი კალათბურთელებისთვისაც. მარკოიშვილის "ბკ კიევმა" მეათე ტურში მეცხრე გამარჯვება მოიპოვა. "მანუმ" "ხიმკისთან" 33 წუთში ოთხი ქულა შესძინა თავის გუნდს. ამას სამი მოხსნა და ორი ჩაჭრა დაუმატა. "ბკ კიევმა" მატჩი 82:77 მოიგო.

ბალტიის ლიგაში გიორგი ცინცაძის ბენეფისი შედგა. მართალია, ქართველთა "როკი" "კალევთან" 83:87 დამარცხდა, მაგრამ ცინცაძისთვის ეს თამაში მაინც გამორჩეული იყო. გიორგიმ მატჩი 27 ქულით, 5 მოხსნით, 4 ჩაჭრითა და ამდენივე შედეგიანი გადაცემით დაასრულა. ვიქტორ სანიკიძეს სათამაშოდ მხოლოდ 7 წუთი ჰქონდა. დროის ამ მონაკვეთში ქართველს ქულების დაგროვების შანსი არ მიეცა.

**სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ**

ვანკუვერის 2010 წლის (12-28 თებერვალი) ზამთრის XXI ოლიმპიურ თამაშებზე დასასწრებად და მის გასაშუქებლად საჭირო აკრედიტაციის დასამზადებლად ქართული სპორტული მას-მედიის წარმომადგენლებმა ოფიციალური განაცხადით უნდა მიმართონ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეს-სამსახურს. ვანკუვერში (კანადა) ჟურნალისტის მგზავრობის, ცხოვრების, კვების და სხვა აუცილებელ ხარჯებს იხდის მისი მიმავლინებელი პრეს-ორგანიზაცია.

სეოკ-ში განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2009 წლის 26 იანვარი.

*სეოკ-ის პრესსამსახური*

## "ბორჯღალოსნებმა" ჯორჯიაც უქულოდ დატოვეს

საქართველოს მორაგბეთა შვიდკაცა ნაკრებმა შვიდკაცას მსოფლიო სერიის მეორე ეტაპზეც წარუმატებლად იასპარეზა.

შეგახსენებთ, რომ პირველი ეტაპი, რომელსაც დუბაიმ უმასპინძლა, ქართველმა მორაგბეებმა უქულოდ დატოვეს. გასულ უქმეებზე მეორე ეტაპს სამხრეთაფრიკულმა ქალაქმა ჯორჯმა უმასპინძლა. "ბორჯღალოსნები" მძიმე ჯგუფში აღმოჩნდნენ და ჯგუფურ ეტაპზე თამაშის მოგება რომ შეუძლებელი იქნებოდა, ეს მოსალოდნელიც იყო.

პირველი მატჩი ქართველებმა აშშ-ის ნაკრების წინააღმდეგ გამართეს და 0:38 წააგეს. ჩვენი ბიჭების მომდევნო მეტოქე ტურნირის მასპინძელი - სამხრეთ აფრიკის ნაკრები იყო. ეს მატჩი ქართველებმა 5:31 წააგეს. ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში "ბორჯღალოსნები" ავსტრალიის ნაკრებს დაუპირისპირდნენ. შედეგი ტრადიციული აღმოჩნდა - 26:5 ავსტრალიელთა სასარგებლოდ.

ეს ყველაფერი ტურნირის პირველ დღეს მოხდა. მეორე დღეს ჩვენმა ბიჭებმა უკეთ კი ითამაშეს, მაგრამ მაინც ვერ მოიგეს. ჯერ შოტლანდიის ნაკრებთან 12:17 წააგეს, ბოლო შეხვედრაში კი ფრანგებთან დამარცხდნენ - 14:26.

რაც შეეხება სამხრეთაფრიკული ეტაპის გამარჯვებულს, მისი ბედი გაირკვა ფინალურ მატჩში. მასპინძელმა - სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა ახალი ზელანდია 12:7 დაამარცხა.

შვიდკაცა მსოფლიო სერიის მესამე ეტაპი ახალ ზელანდიაში გაიმართება.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 12) აცხადებს ტენდერს საერთაშორისო მნიშვნელობის ახალციხე-ნინოწმინდის საავტომობილო გზის კმ.18(0.350)-კმ.39 მონაკვეთზე დარჩენილი სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს.

2 სამუშაოების შესრულების ვადა – 2009 წელი (მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად).

გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

**3.** დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეუძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის №200122900, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302003000, სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის), 2008 წლის 8 დეკემბრიდან 2009 წლის 13 იანვრის ჩათვლით (სამუშაო დღეებში და საათებში) მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-4 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

**4.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტებით 2009 წლის 14 იანვრის $9^{00}$ საათიდან $18^{00}$ საათამდე და 2009 წლის 15 იანვრის $9^{00}$ საათიდან $12^{00}$ საათამდე, ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ალ. ყაზბეგის 12, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, პირველი სართული, საერთო განყოფილება.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების მოთხოვნების თანახმად დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს დეპარტამენტის სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად დააბრუნებს უკან.

მიიღება მხოლოდ იურიდიული სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1.1.** იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

ბ) ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**5.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

უცხო ქვეყნის იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა ცნობები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი სამსახურებიდან.

**5.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

ა) ინფორმაციას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების, მოწყობილობების, დანადგარების და აპარატურის შესახებ.

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) თანამედროვე ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი, სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული მანქანა-მექანიზმები და დანადგარები.

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

| № | მანქანა-მექანიზმების და ანადგარ-ების დასახელება | აღწერი-ლობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | ღირებ-ულება | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველ-ებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა. იჯარის შემთხვევაში წარმოდგენილი იქნას შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებები |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

ბ) ინფორმაციას პრეტენდენტი პირის ძირითად სპეციალისტთა (იმ ძირითადი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე) კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ.

პრეტენდენტი პირის ძირითადი სპეციალისტების 50% უნდა გააჩნდეს ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის (საავტომობილო გზების მშენებლობა, ან/და რეკონსტრუქცია, ან/და მოდერნიზაცია, ან/და რეაბილიტაცია) სამუშაოების შესრულების არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება.

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება | ბიოგრაფიული მონაცემები (ინსტიტუტის დამთავრების წელი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ორგანიზაციების დასახელება და ამ ორგანიზაციებში დაკავებული თანამდებობები წლების მიხედვით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

გ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების გამოცდილების შესახებ (3 წლიანი უწყვეტი გამოცდილება სავალდებულო არ არის).

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტ პირს უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოები (საავტომობილო გზების მშენებლობა, ან/და რეკონსტრუქცია, ან/და მოდერნიზაცია, ან/და რეაბილიტაცია), საერთო ღირებულებით 4 მლნ. ლარის ოდენობით, ამასთან ამ პერიოდში ერთ-ერთი ობიექტის ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების ღირებულება უნდა შეადგენდეს 3 მლნ. ლარს.

უშუალოდ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი პირის (ქვე-კონტრაქტორის გარეშე) გამოცდილება უნდა შეადგენდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური სამუშაოების საერთო გამოცდილების არა ნაკლებ 50%

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| № | სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შენიშვნა სასურველია ხელშეკრულებების ასლების წარმოდგენა, თუ კონფიდენციალური არ არის |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

დ) ინფორმაციას ქვე-კონტრაქტორის მიერ გასაწევი სამუშაოების შესახებ.

შენიშვნა:

– ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| გასაწევი სამუშაოს სახე | ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილებ (მითითებული იქნას ის ძირითადი ობიექტები, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს შესრულებული აქვს ანალოგიური სამუშაოები) |
|---|---|---|
| 1 | | |
| 2 | | |
| და ა.შ. | | |

– ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში. ქვე-კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესასრულებელი სამუშაოების მთლიანი მოცულობის 40%

**6.** ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

**7.** ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაციები დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**8.** საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი პრეტენდენტის მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

**9.** ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**10.** ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს სატენდერო დოკუმენტაციის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით და საბაზისო მონაცემებით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

შესაძლებელია ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა. ალტერნატიული წინადადება უნდა იყოს დასაბუთებული და სრულყოფილი, შესაბამისი ნახაზებით და გაანგარიშებით, წინააღმდეგ შემთხვევაში დეპარტამენტის სატენდერო კომისიის მიერ ის არ განიხილება.

**11.** პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, გაცემული ბანკის ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების ღირებულების არა ნაკლებ 1% ოდენობით. (სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა ძალაში უნდა იყოს 90 დღე, დაწყებული 15.01.2009წ.).

**12.** სატენდერო წინადადებების შერჩევა (რომელი სატენდერო წინადადება დაიშვება შესაფასებლად და რომელი არა), განხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი შესახებ დებულების" მე-15 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად.

**13.** გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% ოდენობით.

**14.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 37.05.08 დამატებით 2.16 გია დიასამიძე.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის
სატენდერო კომისია

**საქმე N2/3510-08**
**განჩინება**
**საქართველოს სახელით**
**საჯარო შეტყობინების შესახებ**
***5 დეკემბერი 2008 წელი ქ.თბილისი***
**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**

**მოსამართლე-ვანო წიკლაური**

**მოსარჩელე -** საქართველოს გენერალური პროკურატურის პროკურორი ლევან ზაქრაძე

**მოპასუხე -** ირაკლი ოქრუაშვილი, ამირან გიგუაშვილი, ლევან ტერაშვილი, დავით კეკელიშვილი, გელა ნასყიდაშვილი, მარლენ ნადირაძე, მიხეილ ქარელი, იოსებ გიგუაშვილი, ნიკა რამიშვილი, თეიმურაზ გოგიტიძე და ვასილ მახარაშვილი

**დავის საგანი -** თანამდებობის პირისა და მასთან დაკავშირებული პირებისათვის სადავო მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების ჩამორთმევა და სახელმწიფოსათვის გადაცემა.

**ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საჯარო შეტყობინების მეშვეობით** თანამოპასუხეების სასამართლო მთავარ სხდომაზე საჯარო შეტყობინების წესით მოწვევის შესახებ საკითხი.

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე N2/3510-08 საქართველოს გენერალური პროკურატურის პროკურორის ლევან ზაქრაძის სარჩელისა გამო თანამოპასუხეების ირაკლი ოქრუაშვილის, ამირან გიგუაშვილის, ლევან ტერაშვილის, დავით კეკელიშვილის, გელა ნასყიდაშვილის, მარლენ ნადირაძის, მიხეილ ქარელის, იოსებ გიგუაშვილის, ნიკა რამიშვილის, თეიმურაზ გოგიტიძის და ვასილ მახარაშვილის მიმართ თანამდებობის პირისა და მასთან დაკავშირებული პირებისათვის სადავო მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე.

მოცემული საქმის მოსამზადებელი სხდომა გაიმართა 2008 წლის 5 დეკემბერს, მოსამზადებელ სხდომაზე მიღებული საოქმო განჩინებით მთავარი სხდომა ჩაინიშნა 2008 წლის 19 დეკემბერს 1600 სთ-ზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია და მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

ვინაიდან რამოდენიმე თანამოპასუხის: ირაკლი ოქრუაშვილის, მიხეილ ქარელის, ნიკა რამიშვილის მიმართ სარჩელისა და თანდართული მასალების ჩაბარების, ასევე მოსამზადებელ სხდომაზე მოწვევის უზრუნველყოფა განხორციელდა საჯარო შეტყობინების გზით სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, იმავე თანამოპასუხეების მოწვევა მოცემულ საქმესთან დაკავშირებით 2008 წლის 19 დეკემბერს ჩანიშნულ მთავარ სხდომაზე განხორციელდეს საჯარო შეტყობინების გზით.

სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ საჯარო შეტყობინების წესით განხორციელდეს, ასევე თანამოპასუხე, თეიმურაზ გოგიტიძის მოწვევა მთავარ სხდომაზე.

**სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 78-ე, 284-285-ე, 414-ე მუხლებით და**

**დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. თანამოპასუხეებს - ირაკლი ოქრუაშვილს, ნიკა რამიშვილს, მიხეილ ქარელს, თეიმურაზ გოგიტიძეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია წინამდებარე პუბლიკაციით ატყობინებს შემდეგს:
2. ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში არსებულ სამოქალაქო საქმეზე N2/3510-08 საქართველოს გენერალური პროკურატურის (პროკურორი ლევან ზაქრაძის) სარჩელისა გამო თანამოპასუხეების ირაკლი ოქრუაშვილის, ამირან გიგუაშვილის, ლევან ტერაშვილის, დავით კეკელიშვილის, გელა ნასყიდაშვილის, მარლენ ნადირაძის, მიხეილ ქარელის, იოსებ გიგუაშვილის, ნიკა რამიშვილის, თეიმურაზ გოგიტიძის და ვასილ მახარაშვილის მიმართ თანამდებობის პირისა და მასთან დაკავშირებული პირებისათვის სადავო მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე საქმის განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე გაიმართება 2008 წლის 19 დეკემბერს 16.00 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, სხდომის დარბაზი N23 (ქ.თბილისი. დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12კმ, N6);
3. განემარტოთ თანამოპასუხეებს, რომ სასამართლო უწყება ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.
4. წინამდებარე განჩინების გამოქვეყნება გაზეთებში: „24 საათი“ და (გორის რაიონულ გაზეთში) „ლომჭაბუკი“ საკუთარი ხარჯებით დაევალოს მოსარჩელე მხარეს;
5. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

***მოსამართლე: /ვ.წიკლაური/***

# SPECIFIC PROCUREMENT NOTICE

1. Department of Roads under the Ministry of Economic Development of Georgia (Al. Kazbegi avenue №12. Tbilisi) announces bidding for the procurement of remaining rehabilitation works of international Akhaltsikhe-Ninotsminda road km18(0.350) – km39 section and invites all the interested legal or/and physical entities for participation.

2. Delivery period: 2009 year (according to the schedule agreed between parties).
   Complete information concerning the works to be performed is presented in the bidding documentation.
3. Interested bidders may obtain Bidding Documentation (in Georgian language) upon payment a tender fee in the amount of 200 GEL (requisites: United Treasury account. Account No 200122900. Beneficiary Bank: State Treasury. Bank code: 220101222. Budget income treasury code: 302003000. tender fee for the Roads Department) from December 8. 2008 to January 13. 2009 (during working days and hours) at the following address: Roads Department of the Ministry of Economic Development of Georgia. State Procurement Department. floor 4.
4. Bidders should submit the qualification data and Bids in Georgian language in sealed packages, in two copies (one original and one copy) on January 14. 2009 from $9^{00}$ to $18^{00}$ and on January 15, 2009 from $9^{00}$ to $12^{00}$ to the following address: 12 Al. Kazbegi avenue, Tbilisi. Roads Department of the Ministry of Economic Development of Georgia. Common unit. ground floor.

   In compliance with the Georgian Law on State Procurement and under statute requirements of the State Procurement rules. late bids will not be considered by Tender Commission of the Department and will be returned unopened.
   Proposals will be admitted only from the entities having legal status.
5. Qualification information should contain following certificates and documents:

5.1.1. For legal entities:
a) Report from the Entrepreneurs register.
b) Power of attorney of signature. in case the person in charge is not authorized to sign.

5.1.2. For individuals:
a) Statement of authorized Medical Institution as an evidence that individual is not under partial or total disability.

Interested legal and physical entities from foreign countries should submit certificates from the corresponding institutions active in their countries.

5.1.3. For both. legal and physical entities:
a) Information concerning the machines. equipment and devices necessary to perform the works.
In order to perform the works specified in this tender. the Bidder should have machines and equipments that meet modern technical requirements and are listed in the bidding documentation either in his ownership or in any forms permitted or not forbidden by the Civil Code of Georgia (renting. lending and etc.).
Note: Information should be submitted according to the table below:

| № | The type of machines and equipment | Description. model. trade mark and age | Quantity | State (new. used. obsolete) | Ownership: form of the ownership or usage. In case of lease corresponding leasing contracts should be presented |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | |
| 2<br>and etc. | | | | | |

b) Information concerning qualification and experience of key specialists of the Bidder (key engineers/technical staff who will perform the works provided under this tender).
50% out of the key specialists presented by the bidder should have at least 3 years of experience in works of similar character. complexity and content (road construction. or/and reconstruction. or/and modernization. or/and rehabilitation).
Note: Provide information according to the table below:

| Position. Specialty | Name | Overall experience (years) | Experience in similar works | Biographical data (graduation date. specialty as indicated in Diploma. organization names and positions held in this organizations according to years) |
|---|---|---|---|---|
| 1.<br>2.<br>and etc. | | | | |

c) Statement concerning the experience in works of similar character. complexity and content performed by the bidder during the last 3 (three) years. (3 years of continual experience is not mandatory).

A legal or/and physical entity should have performed the works of similar character. complexity and content as those provided under this tender (road construction. or/and reconstruction. or/and modernization. or/and rehabilitation) with total value of 4 mln. GEL, provided that during this period the value of works of similar character. complexity and content for one of the projects amounts to 3 mln. GEL.
Experience of the Bidder (without sub-contractor) should be at least 50% of the total experience in works similar to those provided under this tender.
Note: Information should be provided according to the table below:

| No. | Denomination of works (with denomination of each project) | Name of the Client | Contract Value | Note: submission of contract copies is desirable. unless being confidential |
|---|---|---|---|---|
| 1.<br>2.<br>and etc. | | | | |

d) Information concerning the works to be performed by the sub-contractor.
Note: In the event sub-contractors are involved. information should be provided according to the table below:

| Description of works | Sub- Contractor (name and address) | Experience of Sub-Contractor in similar works (indicate similar main projects performed by Sub-Contractor) |
|---|---|---|
| 1.<br>2.<br>and etc. | | |

- Information concerning the Sub-Contractor shall be considered together with qualification data of the Bidder. The total amount of works to be performed by Sub-Contractor should not exceed 40% of the total works to be conducted.

6) Director of the legal or/and physical entity confirms correctness of submitted qualification data and bid by his signature and seal.
7) The certificates and information submitted by the Bidder might be checked individually upon the decision of Department Tender Commission.
8) Evaluation of the qualification information submitted by the bidders shall be done by Tender Commission on the basis of their adequacy with qualification requirements.
9) A legal or physical entity shall not be able to participate in the qualification proceedings if it fails to submit all the certificates and information referred in article 5 or if any of them appears to be false.
10) Submitted bids should include documents defined by item 9.1 of article 9 of the bidding documentation and basic information.
    Alternative proposals are allowed. An alternative proposal should be justified and complete with relevant drawings and estimations. otherwise will not be considered by Tender Commission of the Department.
11) Bidders shall be required to provide the Bid Security in the form of bank guarantee issued by the banking institution or insurance company licensed in Georgia. The amount of bank guarantee shall not be less than 1% of the bid. (Bank guarantee for Bid Security should be valid within 90 days. starting from 15.01.2009).
12) Bids selection (which one will be allowed for evaluation and which not) will be conducted in accordance with items 5 and 6 of article 15 of the "statute requirements of State Procurement rules".
13) The successful legal or/and physical entities shall be required to provide the Performance Security in the form of bank guarantee before signing the contract. The amount of Security shall be determined as 5 % of the total Contract price.
14) Interested persons may obtain further information at the Roads Department of the Ministry of Economic Development of Georgia. State Procurement Department. contact Tel: 37-05-08. extension 2-16: contact person - Gia Diasamidze.

Tender Commission
Roads Department of Georgia

# ოქროს ბიჭმა ბზინვარება დაკარგა

*მაიკ ტაისონმა საკუთარ თავს ავნო, ცხოვრება აირია და დამარცხებული წავიდა კრივიდან. ევანდერ ჰოლიფილდი დღემდე ცდილობს რინგიდან ჩემპიონად წავიდეს და არაფერი გამოსდის. მქუხარე სახელებიდან, უფრო სწორად, მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონებიდან, ვინც დროზე აიკრა გუდა-ნაბადი, ლენოქს ლუისია. ამავე ნუსხით საკუთარ თავს კარგს არაფერს უქადის ექვსი სხვადასხვა წონითი კატეგორიის ყოფილი ჩემპიონი ოსკარ დე ლა ჰოია. მართალია, კრივის მატიანეში დიდ ჩემპიონად დარჩება, მაგრამ შესაძლოა კრივიდან დამარცხებული წავიდეს. თბილისის დროით შაბათ-კვირის გასაყარზე დე ლა ჰოიამ მსუბუქ წონაში კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) ფილიპინელი ჩემპიონისგან მენი პაკიაოსგან ტექნიკური ნოკაუტით იწვნია მარცხი.*

გიგა გურასაშვილი

მას შემდეგ, რაც დე ლა ჰოიასა და მენი პაკიაოს ბანაკები მატჩზე შეთანხმდნენ, ორთაბრძოლის მოლოდინში კრივის გულშემატკივარმა მოსვენება დაკარგა.

რინგის ვეტარანს ოსკარ დე ლა ჰოიას არაერთი ხმაურიანი ორთაბრძოლა ჩაუტარებია, ექვს სხვადასხვა წონით კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონიც გამხდარა, მაგრამ ასე უსუსურად არასოდეს უჩხუბია.

პაკიაოსთან ოსკარის შესაძლო უპირატესობას სიმაღლეში, მძლავრ დარტყმებსა და გამოცდილებაში ხედავდნენ. იქვე მიუთითებდნენ, ორთაბრძოლამდე დაკლებული 15 კილოგრამი მის ამტანობას დაასვამს დაღსო (ჩხუბი ნახევრად საშუალო – 66.7 კგ. წონის ფარგლებში წარიმართა).

რა თქმა უნდა, ფილიპინელიც დიდი მოკრივეა, ავტორიტეტებს არ ეპუება, ჩხუბის უჩვეულო მანერითა და ამოუცნობი ტაქტიკით მეტოქეებს რეტს ასხამს და რინგსაც თავაწეული ტოვებს, მაგრამ ოსკართან ასეთ უპირატესობას მაინც არ ელოდნენ.

ლას ვეგასის MGM Grand არენაზე გასვლამდე ფილიპინელის შესაშურ ფორმაზე მიუთითებდნენ. მნიშვნელობა არა აქვს, ვის შეხვდება, ყველას კუდით ქვას ასროლინებსო.

მათ დაპირისპირებაში ნაკლებად მოსალოდნელი იყო ნოკაუტი, რადგან ორივე მათგანი განსაკუთრებული დაცვით გამოირჩევა.

ბოლო ათი წლის განმავლობაში ყველაზე ძვირად ღირებულ კომერციულ პროექტში ერთნი გაჰყვიროდნენ, დე ლა ჰოია პაკიაოს დაანოკაუტებსო. მეორენი ყველაზე ლოგიკურ შედეგს ფრეში ხედავდნენ - ამ შემთხვევაში დე ლა ჰოიას კარიერა შეუბღალავი დარჩებაო.

დე ლა ჰოია VS პაკიაო ცალკარას დაემსგავსა. ამერიკელი ვერაფრით ვერ უმკლავდებოდა ფილიპინელის ელვისებურ შეტევებს. ოსკარმა მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდში გამოიდო თავი. ეგ იყო და ეგ.

ფილიპინელის უპირატესობა განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა მეშვიდე რაუნდიდან. მეშვიდე და მერვე რაუნდებში ამერიკელმა რამდენიმე ისეთი დარტყმა გაატარა, რომ მარცხენა თვალი შეუშუპდა. აშკარა გახდა - "ოქროს ბიჭუნა" ორთაბრძოლაში ისეთ გარდატეხას ვერ შეიტანდა, რომ ჩხუბი მის სასარგებლოდ დასრულებულიყო. ალბათ ამიტომაც ამერიკელის ბანაკმა აღარ გარისკა და მერვე-მეცხრე რაუნდების გასაყარზე ორთაბრძოლის გაგრძელებაზე უარი თქვა.

"უჩვეულო არაფერი მომხდარა, - ორთაბრძოლის დასრულების შემდეგ თქვა პაკიაომ (48 გამარჯვება, აქედან 36 ნოკაუტით, 3 წაგება, 2 ფრე), - ჩვეულებისამებრ გავედი რინგზე და ჩემი საქმე გავაკეთე".

თავის მხრივ, დე ლა ჰოიას (39 გამარჯვება, აქედან 30 ნოკაუტით და 6 წაგება) სეკუნდანტმა ანჯელო დანდიმ (თავის დროზე დანდი წვრთნიდა მუჰამედ ალის, ჯორჯ ფორმენს, რეი ლეონარდს) თქვა, ასეთი პაკიაოს წინააღმდეგ რაიმე იარაღის მოძებნა ძნელი იყოო.




*წონაში დაკლებულ დე ლა ჰოიას პაკიაო ადვილად გაუსწორდა.*

AFP ' 2008


## უნაგირა საწევარა
TGA 18.430 4x2 BLS

ემისია: ევრო 3
სიმძლავრე: 430 ცხ.ძ.
კაბინა: XXL. მაღალი ჭერით
ძრავი: D2066LF01 Common-Rail
გადაცემათა კოლოფი: ZF 16 S 222 DD ინტარდერით
კრუიზკონტროლი, კონდიციონერი,
სრული ელექტრო პაკეტი,
დამოუკიდებელი გათბობის სისტემა
გარანტია: 2 წელი ან 200,000 კმ

MAN

მიწოდების ვადა 1 დღე

## ტენტიანი ნ/მისაბმელი
Schmitz Cargobull

მოცულობა: 93 $მ^3$
დაკიდების სისტემა: პნევმატური
გარანტია: 1 წელი

სპეციალური ფასდაკლება
Man Nutzfahrzeuge AG-გან




ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. E-mail: info@ge.man-mn.com
244-744, 895 225-828 244-744 (1219) www.tegetamotors.ge

## Hyundai გთავაზობთ უნიკალურ შანსს:

შეიძინე Veracruzi 1 იანვრამდე და
მიიღე საჩუქრად 1 წლიანი უფასო
დაზღვევა მიმდინირე ტექნიკურ
მომსახურეობასთან ერთად. *
( სპეციალურად ორგანიზაციებისთვის
დამატებითი ბონუსი:
ფასდაკლება მანქანის ნაწილებზე
და მომსახურეობაზე)

*საბანკო განვადების შემთხვევაში მყიდველი
ირჩევს ან ერთ წლიან დაზღვევას ან
ბანკის სპეციალურ ფასდაკლებას.
მიმდინარე ტექნიკური მომსახურეობა ძალაში რჩება.




პრიზები:
აშშ -2008 წლის საუკეთესო საზამთრო კროსოვერი
2008 წლის ლოს-ანჯელესის ავტო შოუს გამარჯვებული
კანადა-2008 წლის საუკეთესო საოჯახო მანქანა
ავსტრალია -2008 წლის საუკეთესო კროსოვერი



დახატე სახლი
ერთი ხელის მოსმით

იყიდე სახლი
ერთი ხელის მოსმით

## იპოთეკური სესხი
ერთი ხელის მოსმით

- მხოლოდ 14% -17%
- სახლის ღირებულების 75%
- სესხის ვადა 20 წლამდე

დაგვირეკეთ: 17 77 77
ან იხილეთ: www.hsbc.ge
ან მობრძანდით: რუსთაველის გამზ. 15

HSBC
თქვენი ბანკი მთელ მსოფლიოში

გამოშვებულია სს ეიჩ ეს ბი სი ბანკი საქართველოს მიერ